საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 23 ივლისი, 2015 წელი.

№136 (7781)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ჟურნალისტური გამოძიება ჭორნალისტ მჩხაბავზე



⑥

როგორც ყოველთვის, ელისო ახლაც ტყუილებს ძღვრისო...

გიორგი მარგველაშვილი: „ქართული ოცნების“ საარჩევნო დოკუმენტებში ნათლად იყო საუბარი იმის თაობაზე, რომ უნდა შეცვლილიყო მაჟორიტარული სისტემა და უფრო სამართლიანი საარჩევნო სისტემა შეგვექმნა. ამას ვამბობდით, როცა ვიყავით ოპოზიციაში. მეტიც, არაერთი ჩემი მეგობარი და კოლეგა, რომელიც დღეს უმრავლესობის რიგებშია, გმირულად, თავისი სიცოცხლის რისკის ფასად იბრძოდა ამ მიმართულებით ცვლილებებისთვის წლების განმავლობაში.

③

კალაძე: პრეზიდენტი ისე საუბრობს, თითქოს ამ გუნდის წევრი არ იყოს. პრეზიდენტი, რომ დღეს პრეზიდენტი გახდა, ეს არის იმ გუნდის დამსახურება, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია და პირადად ბიძინა ივანიშვილის დამსახურება, რომელიც ბავშვივით დაატარებდა პრეზიდენტს მთელი წინასაარჩევნო პროცესი.

ბიძინა ივანიშვილი: პოლიტიკაში დავბრუნდები მხოლოდ იმ შემთხვევაში, ② თუ რამე საოცრება მოხდება

23 ივლისი – პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღე

კოსმოსიდანაც „მომზირალი“ საქართველო ④



ცისხეს რად უნდა რკინის კარები?! ②

...სხვანაირად ურთიერთობებს ვერ დავალაგებთ

ვახტანგ გომელაური

ყველა ე.წ. კანონიერი ქურდი, რომელიც ქვეყანაში შემოვიდა, ③ დაკავებულია

სემეკმა, თბოელექტროსადგურების მოთხოვნით, გაძვირებული ტარიფი დაადგინა ⑪

◎ მედიაც სცოდავს და საზოგადოებაც?!

ბიძინა ივანიშვილი: პოლიტიკაში დავბრუნდები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რამე საოცრება მოხდება

ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა „გურია News"-ს ინტერვიუ მისცა. ჟურნალისტის კითხვას, რომ მას ოპონენტები ხშირად ახსენებენ დაპირებას, რომლის თანახმადაც ხელისუფლებაში მოსვლის მესამე წელი ეკონომიკურად გამართული იქნებოდა, ივანიშვილმა უპასუხა: **„ეს არ მოდიოდა ჩემს ტერმინოლოგიაში, რომ ყველა ჯიბეს დაეტყობოდა. მე ვეღარ მოვახერხე გადამოწმება, ესეც კი მითქვამს ერთხელ სადღაც. ნუ, რა თქმა უნდა, არაკორექტული ვიყავი, როდესაც ეს ვთქვი. რამდენადაც, ეკონომიკურად, შეუძლებელია, მესამე წელს რომ ეკონომიკური აღმასვლა ყველა მოსახლის ჯიბეს დაემჩნეს. რეალურად, უმუშევრობა იმაზე მეტია, რასაც სტატისტიკა წერს, რამეთუ, ვინც დასაქმებულია საკუთარ მეურნეობებში, მათაც დასაქმებულებში მიიჩნევენ. მათი შემოსავალი ძალიან მწირია და საკამათოა, რამდენად შეიძლება ისინი დასაქმებულად ჩავთვალოთ. ვფიქრობ, უარესობაა, ვიდრე სტატისტიკის მონაცემებით არის"**.

ყოფილი პრემიერის თქმით, დასაქმებულთა უმეტესობა ღირსეულ შემოსავალს ვერ იღებს. **„რაც შეეხება მესამე წელს ეკონომიკის სტაბილურობას, მე რის საფუძველზეც ვსაუბრობდი, დღესაც გავიხსენებ ამას, რატომ ვამბობდი და რა მქონდა მხედველობაში. მე ვფიქრობ, რომ „ყველას ჯიბეს დაეტყობაო", რომ ვთქვი, ეს წამოცდენაა. ეს არ არის გააზრებული და ასე შეიძლება პრინციპში, ინტერვიუს დროს რაღაც მოხდეს, მაგრამ ეს ერთხელ ვთქვი და სტაბილურად, ხშირად რომ ეს მეთქვა, ამას ვერ ნახავთ. შეიძლება ერთხელ ვთქვი და ისიც გადასამოწმებელი მაქვს. „ტაბულამ" აღმოაჩინა და ვერ მოვიცალე, რომ გადამემოწმებინა, იმდენად ჩემი არაა, რამეთუ მე კარგად ვიცოდი, რასაც ვამბობდი. ეკონომიკა ვიცი და ისიც კარგად ვიცი, რა დრო სჭირდება, რომ ევროპული ტიპის ეკონომიკა მივიღოთ"**, — აღნიშნა ექს-პრემიერმა.

მისი თქმით, მსგავსი განცხადებების გაკეთების დროს, მხედველობაში ჰქონდა საქართველოში იმ პირობების შექმნა, რაც ეკონომიკურ აღმასვლას უწყობს ხელს. **„პირველ წელს ჩვენ მოვახერხეთ, რომ ბიზნესში ხელების ფათური შეწყდა ჩვენი მოსვლით, კონკურენტუნარიანია ბაზარი, პრივილეგირებული ბიზნესმენები არ არსებობენ და, სხვათა შორის, შფოთავენ. მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რომ ბიზნესმენებს ბაზრების მოპოვებაში დაეხმაროს, ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად დააჩქაროს"**, — განაცხადა ივანიშვილმა. ყოფილი პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" გაცემული დაპირებები შეასრულა და მზადაა, ყველა კითხვას ამასთან დაკავშირებით ნებისმიერ ფორმატში უპასუხოს. როგორც „გურია News"-თან საუბარში ივანიშვილმა აღნიშნა, იზიარებს თავის წილ პასუხისმგებლობას დაპირებებთან დაკავშირებით, იმის მიუხედავად, რომ დღეს ხელისუფლებაში აღარაა. **„მე მგონი, ერთ-ერთი პრობლემა, როდესაც ასეთი ჩამონათვალი კეთდება დაპირებებთან დაკავშირებით, მედიაც სცოდავს და საზოგადოებაც სწორ ანალიზს ვერ აკეთებს, არ აკეთებენ სწორ დასკვნებს. მე არ მგონია, რომ ჩვენ დაპირებების რომელიმე ნაწილი არ შევასრულეთ. ვიზიარებ ჩემს წილ პასუხისმგებლობას დაპირებებთან დაკავშირებით, იმის მიუხედავად, რომ მე დღეს ხელისუფლებაში არ გახლავართ, სიამოვნებით ჩავერთვებოდი, თუ გნებავთ, რაღაც კონფერენცია გავაკეთოთ, გნებავთ მედიასთან, გნებავთ, სპეციალისტებთან ერთად, რომლებიც საკუთარ თავს ექსპერტებს ეძახიან და დავასაბუთოთ, რა ვთქვით, რას დავპირდით და რა არ გავაკეთეთ"**, — განუცხადა ექს-პრემიერმა „გურია News"-ს.

ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლებაში თავის შესაძლო დაბრუნებაზეც ისაუბრა და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ამის აუცილებლობას და საჭიროებას დღეს ვერ ხედავს. **„საბედნიეროდ, არ არის სიტუაცია ისეთი, რომ მაგის აუცილებლობა ჩანდეს. ადრეც მითქვამს და დღესაც შემიძლია განვაცხადო, რომ პოლიტიკაში დავბრუნდები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რამე საოცრება მოხდება. ვთქვათ, დღევანდელი მთავრობა ხალხს აღარ მოუსმენს, მოხდება მსგავსი უზურპაცია ხელისუფლების, რაც იყო სააკაშვილის დროს. არაფერი ამის მსგავსი არ ჩანს. ჩვენ დღეს სახალხო ხელისუფლება გვყავს, ჩემი აზრით, გვყავს კარგი პრემიერი, კარგი პარლამენტის თავმჯდომარე და არაფერი იმის მსგავსი არ ისმის, რომ ჩემი პოლიტიკაში მოსვლის საჭიროება იყოს, არათუ აუცილებლობა. მე ვარ, ვთქვათ, კარგი სათადარიგო მოთამაშე"**, — დასძინა ყოფილმა პრემიერმა.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ კოალიცია „ქართული ოცნება" იმ ვადაში, რა ვადითაც აირჩიეს, დაპირებების დიდ ნაწილს შეასრულებს. „გურია News"-სთან საუბრისას ივანიშვილმა აღნიშნა, რომ შსს-ს გაყოფა, რომელიც სულ ახლახან მოხდა, კოალიციის დაპირებებში შედიოდა და ამას ამომრჩეველიც ითხოვდა. ექს-პრემიერი ფიქრობს, რომ პრინციპული დაპირებები რაც იყო, ყველაფერი შესრულდა და სრულდება, ამის მაგალითად კი ივანიშვილს, „პროკურატურის შესახებ კანონი" მოჰყავს, რომელიც პარლამენტში განსახილველად შევა. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა „გურია News"-სთან ინტერვიუში ამ კანონპროექტთან დაკავშირებულ პრეტენზიებზეც ისაუბრა. **„ოპოზიციას ჰგონია, რომ ყოველთვის უნდა აკრიტიკოს. კარგია, ცუდია, — ყოველთვის უნდა თქვას ცუდი, როგორიც არ უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ. მე მგონია, რომ აქაც ცოტა განვითარება გვაკლია. ოპოზიციამ უნდა გაბედოს კარგზე კარგის თქმა, ცუდი აკრიტიკოს და უკეთესი გზები აჩვენოს. კი, ბატონო, იქ კითხვებია, პოლემიკის საგანია, ეს პარლამენტში შევა კიდევ, საზოგადოებას შეუძლია გაეცნოს! იცით, შსს გაიყო, რასაც დიდი ხანია ითხოვდნენ და ა.შ. ეს შედიოდა ჩვენს დაპირებებში, ჯერ საარჩევნო პერიოდი არ დასრულებულა. არ დაგიმალავთ „თეთრი საყელოს" პრინციპის დაცვითაც დავინტერესდი, წინასწარ პატიმრობაზე იქნებ იმსჯელონ, ის, რომ მოწმე დაიკითხოს სასამართლოში და ა.შ. რაც წინ გადადგმული ნაბიჯია რეალურად და არა ფორმალურად, როგორც ამას წინა ხელისუფლება თვალის ასახვევად აკეთებდა, ამის მსგავსს კი არაფერს აკეთებდნენ. ეს ყველაფერი კეთდება და შეიძლება, იმაზე მეტიც მოასწროს ხელისუფლებამ და გააკეთოს, მე მხედველობაში მაქვს კანონშემოქმედება, რაც უნდა შეგვეცვალა. ვალად გვრჩება კონსტიტუცია და კონსტიტუციის მოწყობა. მაგის განხილვასაც, როგორც ვიცი, აპირებენ და იწყებენ. როდესაც საუბრობენ, რომ არ შესრულდა და მე მიხსენებენ, მაშინაც ვთქვი, როცა ხელისუფლებიდან წამოვედი, რომ მე ხელისუფლების დაპირებებზე პასუხისმგებლობა მაქვს"**, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

◎ მოტივაცია

ციხეს რად უნდა რკინის კარები?!

...სხვანაირად ურთიერთობებს ვერ დავალაგებთ

პრობაცია და სასჯელაღსრულება ის სფეროა, სადაც „ოცნების" მთავრობას ყველაზე მეტი მიღწევები აქვს. ეს იმ ფონზე, როცა ადამიანის უფლებების დაცვა დახურული ტიპის დაწესებულებებში საკმაოდ მძიმე ლაქა იყო ყოფილი ხელისუფლებისათვის. მაგრამ სად გადის ზღვარი პატიმრის უფლების შეზღუდვასა და ციხის თანამშრომლის უფლება-მოვალეობას შორის? — ყველაზე მთავარი ახლა ამ ოქროს შუალედის პოვნაა, რაც თავისთავად არ არის მარტივი.

ამ ბალანსის დაცვას პროფესიონალთა დიდი კონტინგენტი სჭირდება და სწორედ ამისთვის ჩამოყალიბდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, სადაც ციხის თანამშრომელთა საფუძვლიანი გადამზადება ხდება. ერთ-ერთ პროექტს — „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ქმედუნარიანობის გაძლიერება" — ექვსი თვის წინათ მოეწერა ხელი შვედეთის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით და უკვე 850 თანამშრომელი გადამზადდა.

პროექტი ითვალისწინებდა შემდეგ აქტივობებს: ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო ცენტრის განვითარების 2015-2017 წ.წ. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, საბაზისო და პროფესიული მომზადების სასწავლო პროგრამის და საგამოცდო ტესტების შექმნას, ტრენერებისა და მენტორების მომზადებას, სამედიცინო პერსონალის გადამზადებას და სხვა.

როგორც სასწავლო ცენტრის დირექტორმა **მაია ხასიამ** აღნიშნა: **„პროექტი წარმატებულია, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ გაფართოებაზე ვიფიქროთ. განათლების სამინისტროსთან ერთად აქტიურად განვიხილავთ საკითხს, რომ სასწავლო ცენტრი აკადემიად გადაკეთდეს. ეს იქნება ერთი უმაღლესი რანგის სასწავლებელი, რომელიც აუცილებელია, რომ ქვეყანაში არსებობდეს"**.

სასჯელაღსრულება, მართლაც რომ, ძალიან მგრძნობიარე და საფრთხილო თემაა, რომელთანაც დილეტანტური მიდგომა აუცილებლად უკუშედეგს გამოიღებს. პატიმართან მოპყრობის წესს მკაცრად დადგენილი კანონებით ვერ განსაზღვრავ. ის ითხოვს ლავირებას, მოქმედების ადეკვატურობას, რომელიც დიდწილად ციხის თანამშრომლის პიროვნულ გადაწყვეტილებას უკავშირდება. მას შემდეგ, რაც ვიხილეთ რას ნიშნავდა დიმიტრი შაშკინის ციხე, ხათუნა კალმახელიძის „ანაქრონიზმი" და ბაჩო ახალაიას „რეჟიმი",ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, რომ ციხეებში ერთბაშად „მგელი და კრავი ერთად ძოვდეს", მაგრამ ვინაიდან ციხის ადმინისტრაციიდან იგრძნობა დიდი სურვილი და მონდომება — ქართული ციხე ევროპულ სტანდარტებს გაუთანაბრდეს, ესეც ერთგვარად წინ გადადგმული ნაბიჯია.

მინისტრის პირველი მოადგილე **კახი კახიშვილი** საკმაოდ ოპტიმისტურად არის განწყობილი: **„რეფორმები, რომელიც ჩვენ დავგეგმეთ, ცოდნის გარეშე ვერ მიიღწევა, — ამბობს, ის, — ამდენად სასჯელაღსრულების სისტემაში შეუძლებელი იქნება სამსახურის დაწყება, თუ თეორიულ და პრაქტიკულ კურსს არ გაივლიან სასწავლო ცენტრში. ამის მისაღწევად ბევრი სოლიდური ორგანიზაცია გვეხმარება. ხელისუფლება ვერ ახერხებს, ყველაფერზე ადეკვატურად დახარჯოს ფული, ამდენად, სპონსორობა მნიშვნელოვანია. იმედია, სისტემური გარდაქმნა მიგვიყვანს იქამდე, რომ ციხეში პატიმრის უფლება არ იქნება დამოკიდებული ერთი ადამიანის (მინისტრის თუ მისი მოადგილის) კეთილ ნებაზე"**. პენიტენციური სისტემა იქითკენ მიდის, რომ ადამიანის უფლებები იყოს უზრუნველყოფილი, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალიან რთულია ბალანსის დაცვა.

ჩვენი ინფორმაციით, არის შემთხვევები, როცა ციხის თანამშრომლები საკუთარი ნებით ტოვებენ სამსახურს. მიზეზი „ორმაგი წნეხია", ანუ როცა ციხის ადმინისტრაციიდან აქვთ მკაცრი მითითება, არ დაარღვიონ პატიმრის უფლება, მაგრამ ამავე დროს, პატიმარი აჭარბებს თავის უფლებებს (მაგალითად, აგინებს, ემუქრება, არ ემორჩილება და ა.შ.). ის კი ადეკვატურ პასუხს ვერ სცემს. კრიზისების მართვა, სადამსჯელო რაზმების მომზადება, მულტიდისციპლინარული ჯგუფების დასკვნის საფუძველზე პატიმრის შესაბამის დაწესებულებაში განთავსება, ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მომზადება — ეს ის საკითხებია, რომელსაც სასწავლო ცენტრი აგვარებს. საგულისხმოა, რომ მნიშვნელობა აქვს სერტიფიკატის ასაღებად გამოცდებზე მიღებულ ქულებს, რადგან ეს ქულები პირდაპირ აისახება ხელფასზე. პროექტის ავტორების თქმით, „ესეც ერთგვარი მოტივაციაა, რადგან სხვანაირად ურთიერთობებს ვერ დავალაგებთ".

თეა მოსია

გარდაბნის თბოელექტროსადგური მეტად დამოუკიდებელს გახდის ჩვენს ენერგოუსაფრთხოებას

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გარდაბანში საქართველოში პირველი კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგური გახსნა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, პირველი კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგური არის 231-მილიონიანი პროექტი, რომელიც აშენდა საპარტნიორო ფონდისა და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის დაფინანსებით.

„მისი სიმძლავრე 237 მეგავატია და იგი ყოველწლიურად 1.6 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემაში პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში, ეს სადგური უმოკლეს ვადებში უზრუნველყოფს სისტემის ელექტრონერგიით უწყვეტ მომარაგებას. ეს არის უახლესი ტექნოლოგიებით, უახლესი ტურბინებით აღჭურვილი თბოელექტროსადგური. ამ სადგურის მშენებლობა გასული წლის იანვარში დაიწყო და იგი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე სამი თვით ადრე დასრულდა. გარდა ამისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტია დადგმული სიმძლავრეც. „ამ პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის მინდა, მადლობა გადავუხადო საპარტნიორო ფონდს, მის ხელმძღვანელს ირაკლი კოვზანაძეს, ნავთობისა და გაზის კორპორაციას, თბოსადგურის მშენებელ კომპანიას — უმსხვილეს თურქულ კომპანია „ჩალიკ ენერჯის“. დარწმუნებული ვარ, რომ გარდაბნის თბოელექტროსადგური დიდ სარგებელს მოუტანს ჩვენს ქვეყანას და მეტად დამოუკიდებელს გახდის ჩვენს ენერგოუსაფრთხოებას. ეს ობიექტი იქნება სერიოზული დასაყრდენი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ეს არის საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ახალი ეტაპი. მინდა, ჩვენს ხალხს მივულოცო ეს წარმატება და ვისურვო, ჩვენი ხელისუფლების პირობებში კიდევ უფრო მეტი ასეთი წარმატებული პროექტი განხორციელებულიყოს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრეზიდენტი „ოცნებას“ დაპირებებს შეახსენებს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მთავრობასა და საპარლამენტო უმრავლესობას შეახსენებს, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის შეცვლა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებაა.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო დოკუმენტებში ნათლად იყო საუბარი იმის თაობაზე, რომ უნდა შეცვლილიყო მაჟორიტარული სისტემა და უფრო სამართლიანი საარჩევნო სისტემა შეგვექმნა. ამას ვამბობდით, როცა ვიყავით ოპოზიციაში. მეტიც, არაერთი ჩემი მეგობარი და კოლეგა, რომელიც დღეს უმრავლესობის რიგებშია, გმირულად, თავისი სიცოცხლის რისკის ფასად იბრძოდა ამ მიმართულებით ცვლილებებისთვის წლების განმავლობაში. ასევე არიან პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც აღნიშნულთან დაკავშირებით დაფიქსირებული აქვთ თავიანთი პოზიცია.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ამ თვალსაზრისით შექმნა არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იმ ჯგუფებისთვის, ვინც ამ საკითხზე მუშაობს, ძალიან საინტერესო შესაძლებლობა და ფორუმი, რომელმაც მათ საშუალება მისცა, გამოეხატათ ერთიანი პოზიცია და ხედვა იმ ცვლილებების თაობაზე, რომელიც მნიშვნელოვანია უფრო სამართლიანი საარჩევნო სისტემის ჩამოსაყალიბებლად“, — განაცხადა მარგველაშვილმა და შეკითხვაზე, რა პოზიცია აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა 2016 წლის არჩევნებისთვის არ გაუქმდა, აღნიშნა, „რამდენად სამართლიანია, რომ სამართლიანობას გადავდებთ, არ ვიცი“. ქვეყნის პირველი პირის თქმით, ჩვენი დემოკრატიის წინაშე უფრო დივერსიფიცირებული სათამაშო მოედნის შექმნის ამოცანა დგას.

„მე არ წარმოვადგენ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, მაგრამ ჩემი ერთ-ერთი ამოცანა ამ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებაში მდგომარეობს. ქართული დემოკრატია ვერ იქნება ბოლომდე სტაბილური, თუ ჩვენ პარლამენტში არ გვეყოლება ძლიერი პოლიტიკური პარტიები — არა მარტო სამთავრობო, არამედ ოპოზიციური. მაჟორიტარულიდან პროპორციულ სისტემაზე გადასვლაც სწორედ იმიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ის ბევრად უფრო კომფორტულ სათამაშო მოედანს უქმნის პოლიტიკურ პარტიებს, საქართველოში პოლიტიკური პარტიები კი ის სტრუქტურებია, რომლებმაც უნდა გააგრძელონ ცხოვრება. რა თქმა უნდა, ყოველთვის იქნებიან ლიდერები, გამორჩეული პიროვნებები, მაგრამ სტაბილურად ქვეყანა ვითარდება, როდესაც არსებობენ სტაბილური პოლიტიკური მოთამაშეები და ამომრჩეველი ირჩევს არა ერთს გადამრჩენლად და „ვნახოთ რა მოხდება“, არამედ თავისთვის შესაფერის პოლიტიკურ ძალას, რომელიც წარმოადგენს მის ინტერესს პარლამენტში. ასე რომ, საქართველომ უნდა მიიღოს ისეთი საარჩევნო სისტემა, რომელიც გააძლიერებს და შესაძლებლობას შეუქმნის პოლიტიკურ ძალებს უფრო სტაბილურ ვითარებაში, არა გადამრჩენელი და დამანგრეველი, არამედ „მოდი ავირჩიოთ რომელი ჯობია“ ვითარებაში გააგრძელოს პოლიტიკური ცხოვრება.

ახლა ჩვენი დემოკრატიის წინაშე უფრო დივერსიფიცირებული სათამაშო მოედნის შექმნის ამოცანა დგას. ამ მოედანზე, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომელიმე ძალამ მოიგოს, მაგრამ დასჭირდეს სხვასთან პარტნიორობა იმისთვის, რომ შექმნას უმრავლესობა. ეს ჯანმრთელი პოლიტიკური პროცესია და მე სწორედ ამ პოლიტიკური პროცესის იმედი მაქვს საქართველოში“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

ბიძინა ივანიშვილი ბავშვივით დაატარებდა პრეზიდენტს მთელი წინასაარჩევნო პროცესი

პრეზიდენტი ისე საუბრობს, თითქოს ამ გუნდის წევრი არ იყოს. პრეზიდენტი, რომ დღეს პრეზიდენტი გახდა, ეს არის იმ გუნდის დამსახურება, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია და პირადად ბიძინა ივანიშვილის დამსახურება, რომელიც ბავშვივით დაატარებდა პრეზიდენტს მთელი წინასაარჩევნო პროცესი,“ — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის განცხადების კომენტირებისას.

კალაძის განცხადებით, მთავრობა ყველა დაპირებას ასრულებს და ამ მიმართულებით პრობლემა არ არის.

„ყველა დაპირება, რაც იყო გაცემული, სრულდება, შესრულების პროცესშია და აუცილებლად შესრულდება, ამ მიმართულებით არ არის პრობლემა. რაც შეეხება საარჩევნო სისტემის ცვლილებას, იცით, რომ სარჩელი იყო შეტანილი საკონსტიტუციოში, ამ მიმართულებით პარლამენტი მუშაობს, განხორციელდება ის ცვლილება, რომ სარჩელი დაკმაყოფილდეს,“ — აღნიშნა კალაძემ.

საპარლამენტო კომიტეტები გომელაურს უჭერენ მხარს

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებმა ვახტანგ გომელაურის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს.

აღნიშნული კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ფარული კენჭისყრა ჩატარდა, რომლის შედეგების მიხედვით ვახტანგ გომელაურის კანდიდატურას 10-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი წავიდა ერთი დეპუტატი. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რამდენიმე დღის წინათ ვახტანგ გომელაური სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე წარადგინა.

ბარამიძე ან ჭორს ავრცელებს, ან სახელმწიფო საიდუმლოებას

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პოსტზე წარდგენილი ვახტანგ გომელაური არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას , თითქოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უშიშროების სააგენტოს ანალიტიკური სამსახურის უფროსი მოსკოვში წავიდა და მნიშვნელოვანი დოკუმენტები გაიტანა. როგორც ვახტანგ გომელაურმა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა, ეს ინფორმაცია აბსურდია.

„გავრცელდა ჭორი, რომ თანამშრომელმა გადაიტანა ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიაზე თუ მსგავსი რაღაც. ამას, რა თქმა უნდა, არ ვადასტურებ და ეს აბსურდია. თუნდაც მართლაც რომ მომხდარიყო, მე მგონი, ჩვენ ასე ღია ეთერში არ უნდა ვსაუბრობდეთ, ის ადამიანი გადავიდა, გადავგზავნეთ თუ რა გააკეთა, ამის ლაპარაკი პირდაპირ ეთერში არ შეიძლება“, — მიმართა გომელაურმა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ გიორგი ბარამიძეს, რომელიც ამ საკითხით დაინტერესდა.

„რა თქმა უნდა, ეს ადამიანი არ გადასულა, მაგრამ ვამბობ, რომც გადასულიყო, გადავიდა, გავაგზავნეთ თუ რა მოხდა, არ მგონია, ამ დონეზე საუბარი ღია ეთერში შეიძლება. ჩვენ დახურულ რეჟიმში დავჯდეთ და ვისაუბროთ, თუმცა ღია ეთერში ვფიქრობ, არ შეიძლება ამაზე საუბარი“, — განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მედიაში რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უშიშროების სააგენტოს ანალიტიკური სამსახურის უფროსი მოსკოვში ოკუპირებული ტერიტორიის გავლით წავიდა და მნიშვნელოვანი დოკუმენტები გაიტანა.

ყველა ე.წ. კანონიერი ქურდი, რომელიც ქვეყანაში შემოვიდა, დაკავებულია

როგორც გომელაურმა ორი საპარლამენტო კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე ოპოზიციონერი დეპუტატების პასუხად განაცხადა, ე.წ. კანონიერი ქურდების და ქურდული სამყაროს მხარდამჭერების დაკავება კანონის ფარგლებში ხორციელდება, ოღონდ ეს რეკლამირებისა და ტელევიზიით საუბრის გარეშე ხდება.

გომელაურმა საქართველოში „რემენას“ შემოსვლა და გასვლა არ დაადასტურა და როგორც აღნიშნა, ასეთი რამ ბაზაში არ ფიქსირდება. ამასთან, მისივე თქმით, 2008-2012 წლებში საქართველოში 11 „კანონიერი ქურდი“, ავტორიტეტი შემოვიდა და მათ ქვეყანა რამდენიმე საათში დატოვეს.

სამი ქურდი შემოვიდა, რომლებიც ჩვენ დავაკავეთ. ეს ადამიანები დღეს სასჯელს იხდიან. შემიძლია წარმოვადგინო სია — 2008 წლიდან 2012 წლამდე 11 კანონიერი ქურდი, ავტორიტეტი შემოვიდა, რომლებიც დაფიქსირებული არიან საბაჟოზეც და საზღვარზეც. ზოგმა ნახევარ საათში დატოვა ქვეყანა, ზოგი დღენახევარში, 27-საათში გავიდა, ზოგი აეროპორტიდანაც არ გამოსულა და იქიდანვე გაუშვეს. ეს ხდება — შემოდის ქურდი, შეიძლება კანონიდან გამომდინარე ვერ დააკავო, თქვას „არა ვარ ქურდი“ და მას კანონიდან გამომდინარე, ვერ დააკავებ, მან შეიძლება ქვეყანა დატოვოს. ეს ხდებოდა. ჩვენს დროს ვინც შემოვიდა, ყველა იქნა დაკავებული. შემოსული და აქ დარჩენილი არავინაა“, — აცხადებს ვახტანგ გომელაური.

მინდვევენ, რომ თავ-პირი უმტვრიო ამათ

„ყოველთვის ვგულშემატკივრობ კანონიერებას, სიმშვიდეს და პროფესიონალიზმს. აქ ყველამ კარგად იცის, რას იტანს ეს პარლამენტი ასეთი ადამიანებისგან და დემაგოგებისგან. ხალხიც დაიღალა. თუ არსებობს რამე კითხვები, გაეცით კანონის დონეზე პასუხები. წარმოუდგენელ რაღაცაში გადადის ეს ყველაფერი. ესენი მართლა უზრდელები, დემაგოგები არიან. გადადიან დაუკრეფავში. აბსოლუტურად მოწმენდილი ციდან გამოიყვანენ რაღაც სიტუაციას. თავ-პირი უნდა უმტვრიო ამათ დღე და ღამე. ბევრ რაღაცაზე კიდევ ვიკავებ თავს და ამას კანონიერად გაეცით პასუხი. დავიღალე მე პირადად ერთი და იგივეთი. ჩვეულებრივად ვიჯექი კომიტეტის სხდომაზე და მოაწყვეს პროვოკაცია. არ მქონდა არანაირი სურვილი მათთან პოლემიკაში შესვლის“, — განაცხადა დეპუტატმა ზაზა პაპუაშვილმა კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე უმცირესობასა და უმრავლესობის წევრებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. სხდომაზე ვახტანგ გომელაურის კანდიდატურაზე მსჯელობდნენ.

ურთიერთობები ყოველგვარი შუამავლის გარეშე

როგორც ჯაჭვლიანმა პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რუსეთს ყოველგვარი შუამავლის გარეშე უნდა ველაპარაკოთ.

„საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია. ჩვენ გვმართებს ძალიან დიდი სიფრთხილე, რომ პროცესი არ გაგრძელდეს. არსებობს ამ პრობლემების შეჩერების ორად ორი გზა, პირველი — ომი და მეორე — დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა რუსეთთან. ომით რა მივიღეთ, ვნახეთ და ვიცით. ჩვენი პატრონი არავინ არ არის — არც ამერიკა, არც ევროპა, არც რუსეთი, ყველა თავისი ინტერესების მიხედვით მოქმედებს. ამერიკა და ევროპა გვეუბნება, გამონახეთ საერთო ენა რუსეთთანო, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, რაღაცა ძალა უშლის ამ მოლაპარაკებას. იგივეს გვეუბნებიან რუსები — გამონახეთ საერთო ენა ოსებთან და აფხაზებთან, მაგრამ ჩვენ ხომ ძალიან კარგად ვიცით, რომ არავინ არ დაგვალაპარაკებს არც ოსებთან და არც აფხაზებთან. ასე რომ, 20 წელია, ჩვენი მტერი და მოყვარე შეშფოთებულია. არაფერი იცვლება. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არავინ თავს არ შეიწუხებს. მოკლედ რომ ვთქვათ, „გვაბოლებენ“. ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯი და ველაპარაკოთ რუსეთს ყოველგვარი შუამავლის გარეშე, სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არსებობს“, — განაცხადა სოსო ჯაჭვლიანმა.



კოსმოსიდანაც

23 ივლისი - პირველი ქართული

ყოველი წლის ივლისის მესამე დეკადა კვლავაც აღსავსეა იმ ემოციებით, რაც 1999 წლის 23 ივლისს მთელ საქართველოს დაეუფლა, როცა ორბიტაზე გავიდა ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი.

საქართველოსთვის ეს იყო დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, როცა საქართველოში შექმნილი 6,42-მეტრიანი გაბარიტის გასაშლელი კონსტრუქცია გასცდა დედამიწის მიზიდულობას და გავიდა უკიდეგანო კოსმოსში. თავისი ისტორიის მანძილზე საქართველოს მეტ-ნაკლებად ჰქონდა ყველაფერი, რაც მსოფლიო ცივილიზაციას შეუქმნია, გარდა თავისი კოსმოსური სისტემისა. 1999 წლის ივლისში ესეც აღსრულდა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ყოველი წლის 23 ივლისი პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღედ არის დაწესებული.

ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაწყვეტის სიახლით და სისტემის აგების პრინციპებით, სრულიად განსხვავებული იყო ჩვენი კოლექტივის მიერ შექმნილი ექსპერიმენტული, კოსმოსური, ავტონომიური, თანამგზავრული რადიოტექნიკური კომპლექსის ელემენტები. მისი მასშტაბურობის სადემონსტრაციოდ, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ მას შეეძლო ნებისმიერ ამინდში და დღე-ღამის ნებისმიერ დროს, სამას კილომეტრზე აღენუსხა ასანთის ერთი ღერის ანთება. ამ სისტემის შექმნა იყო ერთ-ერთი წარმატებული ჩვენი კოლექტივისთვის, საქართველოსთვის და მთლიანად კოსმოსური ტექნიკის დარგისთვის.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი, საერთაშორისო არენაზე და კოსმონავტიკის დარგის გამოცემებში, აღიარებულია ახალი ტექნოლოგიების დასაწყისად, ხოლო ქართული კოსმოსური ობიექტის გაყვანა კოსმოსურ ორბიტაზე შეტანილია კოსმონავტიკის განვითარების ძირითად ქრონოლოგიათა ჩამონათვალში.

რეფლექტორის ორბიტაზე წარმატებული გაშვებისა და გამოცდის შემდეგ, ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ მიიღო მემორანდუმი, სადაც აღიარებულია, რომ საქართველოს აქვს კოსმოსური ობიექტის შექმნის წარმატებული გამოცდილება, ქართული კოსმოსური ობიექტი კი გახდებოდა „ევროპული“.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ტელემაყურებლები პირდაპირ ეთერში უყურებდნენ, რა ხდებოდა ორბიტალურ სადგურზე, როგორ გაიშალა ქართული კოსმოსური რეფლექტორი, როგორ ატარებდნენ კოსმონავტები მისი გამოცდის პროცედურებს, როგორ ჩამოსცილდა 28 ივლისს მზის სხივებში განათებული ლამაზი კონსტრუქცია ორბიტულ სადგურს და დაიწყო დამოუკიდებელი ფრენა ორბიტაზე. მას შემდეგ თექვსმეტი წელი გავიდა. დროის ამ გადასახედიდან კვლავაც გაუხუნებლად შემორჩა ისტორიას ქართული კოსმოსური „ოდისეას“ ამბავი.

ეს ისტორია 15 წლით ადრე, 1974 წელს დაიწყო, როდესაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ინჟინერმა და მეცნიერმა, ამჟამად კი აკადემიკოსმა, გენერალ-მაიორმა და ჩვენი ინსტიტუტის გენერალურმა კონსტრუქტორმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა დაიწყო მუშაობა სამშენებლო ტექნიკის მაშინ სრულიად ახალ დარგში, — ტრანსფორმირებად საინჟინრო სისტემებში, ანუ ეგრეთ წოდებულ გასაშლელ ნაგებობებში.

ახალგაზრდული შემოქმედებითი კოლექტივის, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, ადრეული სამუშაოებიც სწორედ ამ დარგზე იყო ორიენტირებული. საბჭოთა წყობის ბოლო ათწლეული იწყებოდა, როდესაც, 1979 წელს, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს დავალებით ჯგუფმა დაიწყო მუშაობა გასაშლელ საიერიშო სამხედრო ხიდის შექმნაზე, რაც სრულიად ახალ პრინციპებს ემყარებოდა.

ამ დროს მოხდა ერთი შემთხვევა, რამაც სრულიად შეცვალა ჩვენი საკონსტრუქტორო ბიუროს სამუშაოთა ძირითადი მიმართულება. საკავშირო თავდაცვის სამინისტროში განიხილებოდა ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის კოსმოსური სისტემის შექმნის სამუშაოთა მსვლელობა. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული სისტემის უმთავრესი ელემენტის — დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის შექმნა, რომელზეც ათობით მილიონი იყო დახარჯული, ჯერ კიდევ ვერ ხერხდებოდა. **განრისხებულმა მინისტმა გასცა ბრძანება, სასწრაფოდ გამოენახათ ახალგაზრდა მეცნიერები ახალი იდეებით და ხელახლა დაეწყოთ სამუშაოები 30 მეტრი დიამეტრის კოსმოსური რეფლექტორული ანტენის შესაქმნელად.**

სწორედ ელგუჯა მეძმარიაშვილის 48-მეტრ მალიანი საიერიშო სამხედრო ხიდის გაშლის პრინციპი აღმოჩნდა ყველაზე უფრო ახლოს გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის შექმნასთან. 1981 წელს ელგუჯა მეძმარიაშვილი დაინიშნა სამხედრო-კოსმოსური სისტემის მთავარ კონსტრუქტორად და ჩვენი საკონსტრუქტორო ბიუროს თემატიკა მთლიანად მოიცვა სამხედრო-კოსმოსური სისტემის შექმნამ.

სამხედრო სამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელობის წარდგინებით და საკავშირო მთავრობის დადგენილებით საქართველოში შეიქმნა სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, თითქმის ისეთივე სტატუსით, როგორიც ჰქონდათ კოროლიოვის, ტუპოლევის და სხვების ბიუროებს. იმ პერიოდში ეს იყო დიდი შესაძლებლობების გზა სამხედრო კოსმონავტიკაში და ეს შესაძლებლობა ქართველმა მეცნიერებმა და მთლიანად საქართველომ სრულად გამოიყენეს.

ამ სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში ქართველი მეცნიერებისა და კონსტრუქტორების მიერ 1985 წლიდან საკავშირო მთავრობის დამტკიცებული პროგრამით ტარდებოდა სამუშაოები ბალისტიკური რაკეტების სტარტის აღმოჩენის მიზნით კოსმოსური და მიწისზედა ანტენების შექმნაზე.

ამ ამოცანის შესრულების მიზნით საქართველოში:

- **აშენდა საგურამოს უნიკალური სასტენდო კომპლექსი, კოსმოსური დიდგაბარიტიანი კონსტრუქციების მიწისზედა პირობებში აგებისა და გამოცდისათვის;**
- **აიგო ბორჯომის მთიანი ზონის, მკაცრ კლიმატო-მეტეოროლოგიურ და ექსტრემალურ პირობებში, მიწისზედა საინჟინრო სისტემების გამოცდის პოლიგონი;**
- **შეიქმნა მიწისზედა რაკეტსაწინააღმდეგო, მათ შორის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განლაგებული ფრთოსანი რაკეტების „პერშინგ—2“-ის საწინააღმდეგო რადიოტექნიკური, მობილური კომპლექსი;**
- **სტრატეგიული, მობილური მართვის პოსტების აღმოჩენის სწრაფადასაგები, გასაშლელი, 12 მეტრი დიამეტრის რეფლექტორული ანტენები;**
- **30 მეტრი დიამეტრის გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორული ანტენა, რომელსაც დღესაც არა აქვს ანალოგი.**

აღნიშნული სამუშაოების პარალელურად დავიწყეთ განსაკუთრებული დავალების შესრულება. ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების „ვარსკვლავური ომების“ საპირწონე საბჭოთა პროგრამაში მონაწილეობა, რომლის ფარგლებში ქართველი მეცნიერების მიერ ბევრი ისეთი პერსპექტიული კოსმოსური სისტემა შეიქმნა, რომელთა გამოყენება დღესაც შეიძლება, მათ შორის მიწისზედა კონსტრუქციებშიც. ამავე პერიოდში დამუშავდა პლანეტა მარსის გამოსაკვლევი საინჟინრო უზრუნველყოფის კონსტრუქციული სისტემები.

ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაწყვეტის სიახლით და სისტემის აგების პრინციპებით, სრულიად განსხვავებული იყო ჩვენი კოლექტივის მიერ შექმნილი ექსპერიმენტული, კოსმოსური, ავტონომიური, თანამგზავრული რადიოტექნიკური კომპლექსის ელემენტები. **მისი მასშტაბურობის სადემონსტრაციოდ, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ მას შეეძლო ნებისმიერ ამინდში და დღე-ღამის ნებისმიერ დროს, სამას კილომეტრზე აღენუსხა ასანთის ერთი ღერის ანთება. ამ სისტემის შექმნა იყო ერთ-ერთი წარმატებული ჩვენი კოლექტივისთვის, საქართველოსთვის და მთლიანად კოსმოსური ტექნიკის დარგისთვის.**

კოსმოსური თემატიკა საქართველოში არ იყო მხოლოდ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კუთვნილება, მასში მონაწილეობდა მრავალი უწყება, საპროექტოები და სამშენებლო ორგანიზაციები და, რა თქმა უნდა, თბილისის საავიაციო ქარხანა, სადაც ჩვენს მიერ შექმნილი ყველა პროდუქცია მზადდებოდა და გადიოდა საქარხნო გამოცდებს. შემდგომ ნაკეთობა გადადიოდა საგურამოს სასტენდო კომპლექსში, სადაც ხდებოდა მისი წინასაფრენოსნო გამოცდები და ბოლოს იგზავნებოდა მოსკოვში ან პირდაპირ ბაიკონურის კოსმოდრომზე.

ასეთი გზა, ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, გაიარა ორმა სისტემამ, რომლებიც დამზადდა და გამოიცადა საქართველოში და შემდეგ კი მოსკოვის გავლით, ჩაიტანეს კოსმოდრომ ბაიკონურზე.

პირველი იყო წყალქვეშა ნავების აღმოჩენის შეწყვილებული ოცმეტრიანი წრიული კოსმოსური სისტემა „კრაბი“, რომელიც განთავსდა კოსმოსურ ორბიტაზე — კოსმოსურ ხომალდ „პროგრესს-40“-ზე.

ხოლო მეორე იყო კოსმოსური, გრძელი ფერმული სისტემის — „სოფორას“ საბაზო ნაწილის კონსტრუქცია. იგი კოსმონავტებმა ააგეს ორბიტულ სადგურ „მირზე“. მან ორბიტულ სადგურს თითქმის ათი წლით გაუგრძელა ფუნქციონირება. მასზე დაამაგრეს დამატებითი რეაქტიული ძრავა, გაზარდეს მისი მოდების მხარი და ასე შექმნეს სადგურის გაზრდილი მანევრის საშუალება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩვენს სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს ეწოდა „საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი“. ძალიან რთული პერიოდი იყო საქართველოში, მაგრამ ამ ვითარებაში ინსტიტუტმა მაინც შესძლო გამოჩენა არენაზე, ახლა უკვე საერთაშორისო თანამშრომლობის სახით.

პირველი საკონტრაქტო სამუშაო შესრულდა ცნობილ გერმანულ კომპანიასთან — „დაიმლერ ბენც აეროსპეისთან“. სამუშაო ითვალისწინებდა ახალი თაობის ევროპული თანამგზავრებისათვის მსუბუქი, ხისტი და ზუსტი გეომეტრიის მქონე დიდი გასაშლელი რეფლექტორის შექმნას. სამუშაო ბრწყინვალედ შევასრულეთ, რასაც პასუხად მოჰყვა ევროპული კოსმოსური სააგენტოს გენერალური დირექტორის ბატონ ანტონიო როდოტას სამადლობელო წერილი საქართველოს პრეზიდენტის სახელზე. წე-

„ მომზირალი“ საქართველო

კოსმოსური ობიექტის დღე

„მირის“ შემქმნელებმა გადაწყვიტეს, ეჩვენებინათ მსოფლიოსთვის, რომ ამ ტიპის ორბიტულ სადგურზე კვლავაც შეიძლება სამუშაოების ჩატარება და, ამავე დროს, ეფექტურად დაესრულებინათ მისი 10-წლიანი არსებობა ორბიტაზე. გადაწყდა დიდი ზომის გასაშლელი, ზუსტი, ხისტი და მსუბუქი რეფლექტორის გატანა ღია კოსმოსში და მისი სრულმასშტაბიანი გამოცდა. თანაც გამოსაცდელი კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო ახალი, მოწინავე ტექნოლოგიის და სრულიად საიმედო. ამისათვის მათ არჩევანი თბილისზე – საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტზე გააკეთეს.

ვადები უკიდურესად შეზღუდული იყო. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1998 წლის დეკემბრის ბოლოს, ხოლო ბოლო სატრანსპორტო ხომალდის სტარტი კი 1999 წლის მაისზე იყო დანიშნული.

„მირის“ შემქმნელებმა გადაწყვიტეს, ეჩვენებინათ მსოფლიოსთვის, რომ ამ ტიპის ორბიტულ სადგურზე კვლავაც შეიძლება სამუშაოების ჩატარება და, ამავე დროს, ეფექტურად დაესრულებინათ მისი 10-წლიანი არსებობა ორბიტაზე. გადაწყდა დიდი ზომის გასაშლელი, ზუსტი, ხისტი და მსუბუქი რეფლექტორის გატანა ღია კოსმოსში და მისი სრულმასშტაბიანი გამოცდა. თანაც გამოსაცდელი კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო ახალი, მოწინავე ტექნოლოგიის და სრულიად საიმედო. ამისათვის მათ არჩევანი თბილისზე – საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტზე გააკეთეს.

ვადები უკიდურესად შეზღუდული იყო. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1998 წლის დეკემბრის ბოლოს, ხოლო ბოლო სატრანსპორტო ხომალდის სტარტი კი 1999 წლის მაისზე იყო დანიშნული.

საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტმა, მის მიერ დაფუძნებულ კომპანიასთან – „საქართველოს პოლიტექნიკურ ინტელექტთან“ და თბილისის საავიაციო გაერთიანებასთან ერთად, უმოკლეს დროში შეძლო ახალი რეფლექტორული სისტემის შექმნა, მისი დამზადება და სრულმასშტაბიანი გამოცდა. ეს იყო პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი, რომლის გენერალური კონსტრუქტორი გახლდათ ელგუჯა მეძმარიაშვილი.

იმ ხუთ თვეში ყველამ ერთად დიდი განცდები და ემოციები გადავიტანეთ. პარალელურად მიდიოდა კონსტრუქციის დი მისი გამოსაცდელი აღჭურვილობის დაპროექტება, ნახაზები დაფიდან პირდაპირ ქარხნის საამქროებში მიდიოდა, ინსტიტუტის თანამშრომლები ქარხნის მუშაკებთან ერთად ღამეებს ათენებდნენ საამქროებში. ყოველი ნაწილი და კვანძი მრავალმხრივ შემოწმებას და გამოცდას გადიოდა. პარალელურად რეფლექტორის 2 ეგზემპლარი მზადდებოდა, ერთი მუშა, მეორე კი სათადარიგო. დაძაბული შრომის შედეგად დავალება დროულად შესრულდა და დაკეცილი რეფლექტორი ბაიკონურში გაემგზავრა. **ყველას დიდი იმედი გვქონდა, რომ გაწეული შრომა მიზანს მიაღწევდა და საქართველო იზეიმებდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნას, მის გაყვანას ორბიტაზე, მის წარმატებულ გამოცდას და ღია კოსმოსურ სივრცეში დამოუკიდებელ ორბიტაზე გადაყვანას. ეს მიზანი მიღწეულ იქნა წარმატებით.**

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის წარმატებული გამოცდის შემდეგ, ინსტიტუტის წინაშე მრავალი საკითხი წარმოჩინდა. როგორი გზა უნდა აგვერჩია შემდგომში, ახალ სახელმწიფოებრივ ვითარებაში, ახალ ეკონომიკურ პირობებში. ეს იყო უმთავრესი და ამ შეკითხვას მოტივაცია ნამდვილად ჰქონდა.

ასეთი „სიმაღლის აღების“ შემდეგ, გარკვეული პაუზა იყო საჭირო კოსმოსურ თემატიკაში. საჭირო იყო ახალი ცოდნისა და პოტენციალის აკუმულირება, საერთაშორისო სამეცნიერო კავშირების გაფართოება და გამყარება. ყველაზე მთავარი იყო ის, რომ შემდგომ პერსპექტივაში ინსტიტუტს დარჩენოდა სამეცნიერო და კომერციული ინტერესი კოსმოსური ტექნიკის შექმნაში, მაგრამ მის თემატიკაში უმთავრესი უნდა გამხდარიყო არა მარტო სამეცნიერო პრესტიჟი, არამედ საქართველოს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისი სამუშაოები.

ახალი რეალობების და პირობების საფუძვლიანი ანალიზის შედეგად ინსტიტუტის გენერალურმა კონსტრუქტორმა და სამეცნიერო ხელმძღვანელმა სწორი სვლა განსაზღვრა:

გადაწყდა, დაგვეწყო საქართველოში სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარების სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა. ამ მხრივ, წლების განმავლობაში, მრავალი სქელტანიანი მონოგრაფია დაიწერა; დამუშავდა საქართველოს სამხედრო-საინჟინრო სამგანზომილებიანი ციფრული რუკა და ქვეყნის სამხედრო-საინჟინრო კონკრეტული გარემოს და ინფრასტრუქტურის ობიექტების კატალოგი; გამოსაცემად მომზადდა ქართული ენციკლოპედიური სამხედრო-საინჟინრო ენციკლოპედია; ამოქმედდა სადოქტორო პროგრამა სამხედრო მეცნიერების დარგში. აკადემიკოს ელგუჯა მეძმარიაშვილის ინიციატივით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ დააარსა სამეცნიერო, ინგლისურ და ქართულენოვანი ჟურნალი „სამხედრო მეცნიერება. საქართველო“. შეიქმნა სწრაფადასაგები, ინვენტარული სამხედრო ხიდი 48 მეტრი მალის სიგრძით, რომელიც გამოყენებული იქნა სამხედრო სწავლებებში, მანევრებში და სამოქალაქო ექსტრემალურ სიტუაციებში. ეს სამუშაოები და კვლევები კვლავაც გრძელდება. ახლა საქართველოს ტერიტორიის თავდაცვისათვის საინჟინრო მომზადების, საბრძოლო მოქმედებების და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფას, ასევე, დაემატა კვლევები ბუნებრივი და ხელოვნური ექსტრემალური ვითარებების საინჟინრო უზრუნველყოფისა.

და კვლავ კოსმოსური თემატიკა. ეს სამეცნიერო მიმართულება ერთ-ერთი პრიორიტეტია ევროკავშირის სამეცნიერო მიმართულებების ჩამონათვალში. მნიშვნელოვანია, რომ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო, რომელთაც არა აქვთ არც კოსმოსური რაკეტები და, მით უმეტეს, არც კოსმოდრომები, მეტად ინტენსიურად ეწევიან კონკრეტულ სამუშაოებს კოსმოსური ტექნოლოგიებისა და ტექნიკის დარგში. გარდა სამეცნიერო ღირებულებისა, ასეთი ვიწრო სპეციალიზაცია ქვეყნისათვის კომერციულად მომგებიანიცაა.

ჩვენი ინსტიტუტიც ამ გზას დაადგა. ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ საკონტრაქტო ერთობლივი სამუშაოები და კვლევები ჩავატარეთ მრავალ უცხოურ კომპანიასთან და ორგანიზაციასთან: „Alenia Aerospazio“ (იტალია); „HTS“ (შვეიცარია); „энергия“ (რუსეთი); „Magna“ (ავსტრია), „Sener“ (ესპანთი); მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქი კონსტრუქციების ინსტიტუტი (LLB, Technische Universiteat Munchen); ევროპული კოსმოსური სააგენტო (ESA). ამ მიმართულებით შეიქმნა და შემკვეთს გადაეცა ახალი თაობის დიდგაბარიტიანი კოსმოსური ტექნიკის ნიმუშები.

აკადემიკოს ელგუჯა მეძმარიაშვილის თაოსნობით, ჩვენმა ინსტიტუტმა საქართველოში მოიზიდა რამდენიმე მილიონი ლარის ეკვივალენტი ფინანსური სახსრები და ახალი ტექნოლოგიები. ასობით ადამიანს მიეცათ სამუშაო. და ბოლოს, საქართველოში შეიქმნა ტექნიკა, რომელთაც ანალოგი არა აქვთ მსოფლიოში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, თბილისში, 2009 წლის და 2014 წლის ოქტომბრის თვეში, ევროპული კოსმოსური სააგენტოს ეგიდით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები დიდგაბარიტიანი კოსმოსური კონსტრუქციების დარგში. კონფერენციას დაესწრო მრავალი ქვეყნის ათობით დარგის აღიარებული მეცნიერი და კონსტრუქტორი.

ინსტიტუტის კოლექტივი და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი კვლავაც ენერგიულად შრომობენ მსოფლიოს ტექნიკურ პროგრესში ფასეული წვლილის შესატანად და, იმედია, კიდევ არაერთი მიღწევით გაგვახარებენ.

ნოდარ წიგნაძე,
ინსტიტუტის დირექტორი;
მამუკა სანიკიძე,
განყოფილების უფროსი;
შოთა წეროძე,
განყოფილების უფროსი;
გურამ ბედუკაძე,
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
კონსტანტინე ჩხიკვაძე,
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.



მჩხაბავი – ავად მწერალი (საბა) – ბჯღაბნელი.
ქეგლ.

დიდი დაკვირვებით ჩავიკითხე წლეულს 21 ივლისს გაზეთ „ქრონიკა+“-ში (უფრო უპრიანი იქნება „ქრონიკა–“-ში) მჩხაბავი ელისო კილაძის ნაცოდვილარი და დასკვნა ერთადერთია: „ალიართალი-ბალიართალი, როცა განვჩხრიკე მისი ნათქვამი, სიტყვაც ვერ ვპოვე მასში მართალი!“ამიტომ არ შევცდები, თუ შემდგომში მას პროვოკატორად მოვიხსენიებ. მით უფრო, რომ მისთვის ამ სრულიად დამსახურებული ზედწოდების მინიჭებაში პრიორიტეტი ბატონ ვლადიმერ ბედუკაძეს ეკუთვნის, იმ პიროვნებას, რომელსაც, თუ ელისო კილაძის „აღსარებას“ გამონაკლისის სახით ერთხელ მაინც ვენდობით, თავის ოფისში მთელ წელიწადს იფარავდა და 500-500 დოლარს აძლევდა.

ახლა კი კითხვა-გონიერი იმის თაობაზე, თუ რატომ არაფერს ამბობდა არც „ბაყაყის თვალის სინდრომის“ და არც უაღრესად მამხილებელი მეორე ნარკვევის „ბაქიბუქი, პაკიპუკი და ფეისბუქის“ წაკითხვის შემდეგ, რომლებიც „საქართველოს რესპუბლიკის“ გარდა სხვებმაც დაბეჭდეს?

პასუხი უმარტივესია.

სათქმელი ძალზე ცოტა ჰქონდა! ამაში ამ მჩხაბავის, ანუ მჯღაბნელის ბოლოდროინდელმა ნაცოდვილარმაც დაგვარწმუნა.

აშკარაა, რომ მის მიერ „ქრონიკა–“-ში ცილისმწამებლური ჭორებით „შეკერილზე“ უამრავი თეთრი ძაფი სრულიად ამაოდ გახარჯა.

აქა ამგავი ელისოსეული დამწვარი სკამისა

ჩემს **სკამთან დაკავშირებული ელისოსეული სცენარი მისთვის ჩვეული პროვოკაციული გამონაგონია, თუმცა, მის ოპუსში ეს არ არის არც პირველი და არც რაიმეთი გამორჩეული ერთადერთი ჭორი.**

თურმე, თუ ამ ცილისმწამებელს დავუჯერებთ, ჩემი წამოსვლის შემდეგ „საქართველოს ტელევიზიის სამართლის განყოფილების თანამშრომლებმა კაბინეტიდან სკამი გამოიტანეს და ეზოში საჯაროდ დაწვეს.“

ნეტარ არიან ბრიყვები, ვისაც ელისო კილაძის მიერ შეთითხნილი ნაბოდვარისა სჯერა!

ცილისწამების მუხლი კოდექსიდან არის ამოღებულიო, თავს კი იიმედებს, მაგრამ ამაოდ: პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვისათვის ვის რა და როგორ მიეზღვება, არა მგონია, ვინმეზე ნაკლებად იცოდეს!

საქართველოს ტელევიზიაში როგორ ვმუშაობდი და თანამშრომლებში რა ავტორიტეტი მქონდა, ამას ბეჭდვურ და ელექტრონულ მედიაში უამრავი სტატია და გადაცემა მიეძღვნა. მაინც დავასახელებ ერთ ფრიად საყურადღებო მაგალითს: ჩემმა უფროსმა მეგობარმა და თანამშრომელმა, ცნობილმა იურისტმა და ჟურნალისტმა ვასო ხმალაძემ გარდაცვალების წინ თავის ვაჟებს საგანგებოდ დაუბარა: ჩემთან გამოსათხოვარი სუფრის ხელმძღვანელობა სხვას არავის ანდოთ, მხოლოდ ალექსანდრეს სთხოვეთო.

ასე რომ, დარწმუნებული ვარ, ჩემი ყოფილი კოლეგებიც და მათი შთამომავლებიც მოჰკითხავენ პროვოკატორს, თუ სად და რომელ კოშმარულ სიზმარში მოელანდა ალექსანდრე შენგელიას სკამის დაწვა?

ვინ თქვა პირველად „მიაუ“?

ეს სათაური შემახსენა იმ პროვოკაციამ, რომელიც მჩხაბავმა ელისო კილაძემ წამოიწყო მისთვის რატომღაც ბნელით მოცულ თემასთან – ტელევიზიაში ჩემს შემოქმედებით მუშაობასთან დაკავშირებით.

„ალექსანდრე შენგელიას „გამორჩა“ ის სამარცხვინო ფილმი, რომელიც ტელევიზიაში მუშაობისას სწორედ მან მოამზადა „თვითმფრინავის ბიჭების“ სასამართლო პროცესის მერე და თავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდები ტერორისტებად მონათლა.“ – წერს და ისევე როგორც წინა პუბლიკაციაში ჩემ მიერ გაკრიტიკებულ მისსავე „ცალკე თემას“, ამ ბინძურად შეთითხნილ ცილისწამებასაც ხბოსებრი შეკუნტრუშებით, მაგრამ შედარებით „მოკრძალებულად“ - ძახილის ხუთით კი არა,მხოლოდ სამი ნიშით „განამტკიცებს“ .მერე კი პათეტიკურად მიმართავს მკითხველს:

„მგონი, ალექსანდრე შენგელიას მორალზე წარმოდგენა ნაწილობრივ მაინც შეგიქმენითო“.

სანამ მკითხველს იმას ვეტყოდე, აქვს თუ არა ქალბატონ ელისო კილაძეს სხვის მორალზე საუბრის მორალური და ზნეობრივი უფლება, დავიწყებ იქიდან, ვარ თუ არა მე იმ გადაცემის ავტორი, რომლითაც ცილისმწამებელმა თვითმფრინავის გამტაცებელთა ტერორისტებად მონათვლა შემწამა, გადაცემა ფილმად გამოაცხადა და მის ავტორად მე მომიხსენია?

კარგა ხნის წინათ ამ საჩოთირო კითხვას ამომწურავი და საბოლოო პასუხი გასცა საქართველოს ტელევიზიის იმდროინდელმა მთავარმა რედაქტორმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, სულგანათლებულმა ფელიქს დანელიამ და თუ ეს უბოროტესი ცილისმწამებელი განგებ არ იბრმავებს თვალს, აუცილებლად უნდა ახსოვდეს ამგვარ უსაფუძვლო ბრალდებათა გამაქარწყლებელი ის სტატია, რომელიც სხვებთან ერთად გაზეთ „ქუთაისშიც“ დაიბეჭდა. ასეც არ იყოს, კანცელარიაში მთელი იმ 12 წლის მანძილზე, როდესაც გაზეთ „ქუთაისს“ ვრედაქტორობდი, სხვა საბუთებთან ერთად ჯერ კიდევ 1988 წლამდე შედგენილი ჩემი „შრომის წიგნაკიც“ იდო. მასში დაწვრილებით არის აღნუსხული, სად, როდის და რისთვის წამახალისეს, რომელ კონკურსებში გავიმარჯვე და რა პრემიები მომცეს გაზეთ „თბილისსა“ თუ ტელევიზიაში მუშაობისას. მაგრამ გაკვრითაც კი არაფერია ნახსენები თვითმფრინავის გამტაცებელთა შესახებ გადაცემაზე, რამეთუ, როგორც ჩვენი ბრძენი ხალხი ბრძანებს: „ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო!“

არადა, მჩხაბავმა ელისომ ნამდვილად არ უნდა ააფრინოს „ალალი“, რამეთუ ეს „შრომის წიგნაკი“, რამდენადაც ვიცი, სხვებთან ერთად მასაც არაერთხელ გადაუფურცლავს. მასში კი არსად არის ნახსენები პროვოკატორის მიერ ნასროლი როყიოდ ნათქვამის არც ერთი დამადასტურებელი ფაქტი და, საინტერესოა, ამგვარი და მსგავსი გამონაგონებით საბოლოოდ რატომ დაკარგა სირცხვილით გაწითლების უნარი?

როგორც ყოველთვის, ელისო

უზნეობა – ზნეობრიობის ნიღბით

ისევ **და ისევ შევახსენებთ ქცევითა და მორალით „მოკეკლუცე“ თვითმარქვიას ზნეობის თემასთან მისეული შეთამამების უზნეობას, მით უფრო, რომ არც საქართველო, არც თბილისი და არც ქუთაისი ისე დიდი არ არის, რომ ყველამ ყველაზე, განსაკუთრებით კი ჟურნალისტის მორალურ სახესა და ზნეობაზე ყველაფერი არ იცოდეს. ამის დასტურად ფეისბუქიდან ისევ გავიმეორებთ ისრაელში ასული ყოფილი ქუთაისელის, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკთა შორის არც თუ უცნობი ქალბატონის მანჩო ბანკას სიტყვებს:**

> **„რომ მოგიღია ეგ პირი და ბეჟუტურობ, არ გრცხვენია?! ამას ჰქვია მარაზმი. ფუუუ, შევარცხვინე შენი ქალობა! ქალი კი არა, ქაჯი ხარ! ქაჯობას თავი რომ დავანებოთ, კრიმინალური სამყაროს წევრი ხარ! დამნაშავე და საზოგადოებისათვის საშიში პიროვნება ხარ.“**

როგორც ხედავთ, ელისო კილაძის შესახებ ნათქვამი ეს სიტყვები არც მე მეკუთვნის და არც ჩემი შეკვეთილია. რამდენიმე სხვა ამონარიდიცა და ქალბატონ მანჩო განკას სიტყვებიც ფეისბუქიდან უცვლელად არის გადმოტანილი და ხაზგასმით ადასტურებს, თუ ადრესატი ვინ არის და რა ზნეობისა.მით უფრო, რომ ეს არსად არავისთვის არ არის დამალული არც საქართველოში, არც თურქეთში, არც საბერძნეთში და არც რომელსამე სხვა ქვეყანაში, სადაც ქართული მოსახლეობაა და ელისო კილაძის სახელი თუნდაც ერთხელ გაუგონიათ. ჩაიხედოს ფეისბუქში და თავად დარწმუნდება, რომ არაფერს ვაჭარბებთ!

ახლა ახლოით განვჩხრიკოთ ის უსაფუძვლო ბრალდება, რომლითაც ამ უნიჭო პროვოკატორმა „კაგებეს“ მაიორად გამომაცხადა.

დიდი ჟურნალისტური ალღო არ ესაჭირეობოდა იმას, რომ თვითმარქვია „შერლოკ ჰოლმსს“ შესაბამის ბანკში მაინც გადაემოწმებინა, დანიშნული აქვს თუ არა ალექსანდრე შენგელიას უფროსი ოფიცრის პენსია, რაც, როგორც ცნობილია, რამდენჯერმე აღემატება ჩემსავით ჩვეულებრივი მოკვდავის იმ სრულიად ჩვეულებრივ 150 ლარს, რომელსაც ამჟამად ვიღებ.

თუ მართლა რაიმე ეეჭვებოდა, ხომ ყველაფერი უმარტივესად გაირკვეოდა? და კიდევ ერთიც, ამასთან განსაკუთრებით ხაზგასასმელი, რამეთუ ნათლად წარმოაჩენს ამ მჩხაბავის ცრუპენტელობისა და მისი ბოროტი ჭორების უსაფუძვლობის დონეს!

ვფიქრობ, იძულებული იქნება, თავადაც დამეთანხმოს, რომ მე ელისო კილაძეს არასოდეს შევხვედრივარ 1991 წლის იმ დღემდე, სანამ ქვეყნის იმდროინდელი ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ბატონი თენგიზ სიგუა ავტოქარხანას არ ეწვია. მე მისგან საგაზეთო ინტერვიუს ვიღებდი და ამ მომენტში საუბარი შემაწყვეტინა უცნობმა ქალიშვილმა, რომელმაც პრემიერის თანდასწრებით რედაქციაში შტატგარეშე თანამშრომლად მიღება მთხოვა. მეორე დღეს გაირკვა, რომ შტატგარეშეობას მთხოვდა ელისო კილაძე, რომელიც თურმე არცთუ მთლად სანაქებო სახელით მოიხსენიებოდა მის ყოფილ კოლექტივში.

ისევ და ისევ ალია-ბალია

ზემოთ **ნათქვამი მოკლე განმარტების შემდეგ ისევ მის ნაბეჭუტურევს დავუბრუნდეთ, რომ ბოლომდე გავისიგრძეგანოთ ამ „გამომგონებლის“ ალია-ბალია.**

„ბედის ირონიაა, რომ რუსეთის სპეცსამსახურთან ჩემს შესაძლო კავშირზე ლაპარაკობს ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში რედაქციაში გაურკვეველი წარმოშობის წითელი წიგნაკით აშინებდა თანამშრომლებს და ემუქრებოდა, „მე კაგებეს მაიორი ვარო“. – წერს სრული თვითდაჯერებულობით და ცდილობს, ამაში მკითხველიც დაარწმუნოს.

ზემოთ უკვე აღწერილი სცენის – ბატონ თენგიზ სიგუასთან ინტერვიუს აღების დროისა და ადგილის გათვალისწინებით მკითხველს ვთხოვ, დაუკვირდეს, კარგად დაუკვირდეს, რა ზღაპრებს ჰყვება ეს თავხედი პროვოკატორი!

თურმე საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მე, ალექსანდრე შენგელია, გავყვიროდი, რომ „კგბ“-ს თანამშრომელი, თანაც მაღალი რანგის ოფიცერი ვარ-მეთქი! უფრო დიდი სისულელის თქმა და მტკიცება წარმოგიდგენია მკითხველო და განმკითხველო? და განა თუნდაც ეს ერთი მაგალითი არ არის საკმარისი, რომ საფუძვლიანი ეჭვი აღგეძრას არა მარტო ცილისწამებათა იმ რუპორისადმი, რომელსაც „ქრონიკა+“ ჰქვია, არამედ მედიის ზოგიერთი იმ ორგანოს შესახებაც, რომელშიც მისი ავტორობით ხელმოწერილი რაიმე შეგხვდება?

ეს მხოლოდ პირადად ჩემი აზრი არ გახლავთ. სხვა სიტყვებით, მაგრამ თითქმის იმავეს ამტკიცებს საქალაქო განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი ქალბატონი ია ანთიძე, რომელიც საზოგადოებას საგანგებოდ აფრთხილებს, რომ **„ელისო კილაძის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სანდოობის მიმართ ჯანსაღი ეჭვი უნდა გაუჩნდეს“.**

არამკითხე მოამბის ბაქი და ჭორი

მოდით, **ისიც განვჩხრიკოთ, ვინ იყო ელისო კილაძე, ან თავის რა დამსახურებას მამადლის და ზუსტად 25 წლის წინათ, ჩემი მრავალგზის თხოვნისა და გაფრთხილების მიუხედავად, ვითომცდა ჩემს დასაცავად გაწიწმატებით რატომ ჩაერია ჩემსა და პრეფექტს შორის გამართულ იმ დიალოგში, რომელშიც ქალაქის მაშინდელი თავკაცი სამართლებრივი თვალსაზრისით დამარცხებისათვის იმთავითვე იყო განწირული.**

სხვათა შორის პრეფექტს ეს მაშინ ვუთხარი კიდეც და დავპირდი, რომ დამჭირდებოდა მხოლოდ ერთი თვე, რათა „ქუთაისისთვის“დამოუკიდებელი გაზეთის სტატუსის აღდგენასთან ერთად ჩემი არასამართლებრივი გათავისუფლების მისეული ბრძანებაც გაუქმებულიყო. ასეც მოხდა: ჯერ კიდევ საქართველოს პირველი პრეზიდენტის დამხობამდე რამდენიმე თვით ადრე, ზუსტად 17 დღეში საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გააუქმა პრეფექტის უკანონო განკარგულება და ქალაქის თავკაცი საგანგებოდ გააფრთხილა, რომ თუ დაუყოვნებლივ არ აღმადგენ-

ჟურნალისტური გამოძიება ჟორნალისტ მჩხაბავზე

ცდება ელისო: მე ვიცე-პოლკოვნიკი ვარ!

უხამსობასთან ბრძოლის დროს მე ელისოსავით ფრიად საეჭვოდ არც ბონდო შალიკიანს დავკავშირებივარ და მის სამსახურში არ ჩავმდგარვარ, არც მილიარდერთან მიძებნია თავშესაფარი და არც მეორე მილიარდერისა და მისი თანაგუნდელებისათვის არ მომითხოვია დივიდენდები.

რასაც ვწერდი და ვბეჭდავდი, იმის საზღაურად ხშირად ჰონორარიც კი არ ამიღია ხოლმე, რადგან იმ „ნაციონალებმა“, რომლებსაც მჩხაბავი ელისო კარგა ხანს ემსახურებოდა, ჩემს თანამოკალმეებს საკუთარი ჭერი წაართვეს, მათსავე აშენებული შენობებიდან გამოყარეს და საარსებო წყარო დაუხშვეს. ამიტომ სრული მორალური უფლება მაქვს, გულწრფელი სითამამით ისევ დავუბრუნდე მისეული „კოზირის კიკოს“: ჩემს მაიორობას!

მაიორი მე მართლაც ვიყავი, მერე ვიცე-პოლკოვნიკიც გავხდი, მაგრამ არა „კგბ“-სი, არამედ მასთან შეურიგებლად დაპირისპირებული შენაერთის - „თეთრი ლეგიონის“.

სხვათა შორის მისი სარდალი, გენერალი ზურაბ სა-

ახლაც ტყუილებს ძღვრილო...

უამრავი გაძრომ-გამოძრომის მიუხედავად, „მანასეობაში“ უკვე საკმაოდ გაწაფულმა მაინც ვერ მოახერხა იმ მეორე მილიარდერთან დაახლოება, რომელმაც სამშობლოს „სამება“ აჩუქა. თუმცა ისიც კი გაბედა, რომ თავისი გაზეთით ბნელ საქმეებში სთხოვა დახმარებოდა და ახლა უკვირს, რატომ არ თვლის მას ბატონი ბიძინა ჟურნალისტად? ამის თაობაზე გამოწვლილვით არის საუბარი 14 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დასტამბულ ჩემს სტატიაში, თუმცა აქვე ისიც აუცილებლად სათქმელია, რომ მასში დასახელებული და დიდი სიზუსტით დასაბუთებული ვერც ეს და ვერც სხვა რომელიმე ფაქტი ვერ უარყო მჩხაბავმა ელისომ. სამაგიეროდ შეეცადა, მისთვის ჩვეული ჯოჯოხეთური წარმოსახვებით საზოგადოებისათვის თვალში ნაცარი შეეყრა.

არ ვაპირებ, წამოვეგო მის „ანკესს“ და ამიტომ ავანტიურისტის მიერ შეთხზული ჭორების განქიქებას აღარ განვაგრძობ, რამეთუ აზრი არა აქვს, როცა სიტყვას ბანზე აგდებს და მკითხველის დასაბნევად უამრავ აბსურდს ახვავებს.

ამ გადაწყვეტილებას იმიტომ ვიღებ, რომ დარწმუნებული ვარ, საზოგადოებას ვერ დაავიწყებს, რისთვის აკრიტიკებდნენ და თანაც — რა შეუვალი საბუთებით!

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მისეულ აბსურდების თეატრში მასთან დავა იმის ტოლფასია, რომ ამტკიცო: არც სპილო ვარ და არც აქლემიო. მაგრამ ერთი კია: როდესაც თავის ეგრეთ წოდებულ „დამსახურებათა“ ჩამოთვლის შემდეგ სვამს პროვოკაციულ შეკითხვას: „კარგი იქნება, თუ ალექსანდრე შენგელია ნაციონალური მოძრაობის ქმედებების გასაპროტესტებელ მასალებს შემახსენებსო“, უამრავთაგან თუნდაც ერთს — „სათრეველათა“ ჩემს იმ წიგნებს დავუსახელებ, იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნული აკადემიის ეგიდით ორჯერ რომ დაისტამბა — 2012 წლის 30 ივლისს და შევსებული გამოცემის სახით — 2013 წლის სექტემბრის ბოლოს.

ეგებ ინებოს მჩხაბავმა ელისომ და ერთხელ მაინც შეიხედოს საჯარო ბიბლიოთეკაში, რათა საკუთარი გაზეთის გარდა სხვის გაზეთებს, წიგნებსა და მათზე გამოხმაურებებს გადაავლოს თვალი, რათა თავისი სიმაღლეც იცოდეს და სხვისიც!

სხვას რომ თავი დავანებოთ, თუნდაც იმ სტრიქონებს გავიმეორებ, რომლებიც სააკაშვილის „ზეობის“ დროს არის დაწერილი და სხვადასხვა გაზეთში რამდენჯერმე გამოქვეყნებული:

ვინც ბრბოს ეძახის ხალხს და ჭორვილელთ,
პასუხი ისეთ მეხად მოელის,
კაცობის რა ვთქვა, ვერც იგორილებს
ის აყლაყუდა პლეხანოველი.
იძინეთ მშვიდად — ჯურხა და ასან,
ჭორვილას ლანძღვას დავუჯენთ ფასად!

დაე, გულწრფელად აღიაროს მჩხაბავმა ელისომ, მთელი თავისი ცილისმწამებლური „შემოქმედება“ გამოადგება საპირწონედ ამ „სათრეველას“ თუნდაც ერთ სტრიქონს?

არადა, მსგავსი „სათრეველები“ და ჩემი უმწვავესი კრიტიკული პუბლიკაციები ერთი და ორი არ გამომიქვეყნებია როგორც ჩემსავე საავტორო გაზეთში („სარკმელი საქართველოსი“), რომელიც საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაშიც ვრცელდებოდა, ისე სხვა ბეჭდვურ ორგანოში ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლების სათავეში მოსვლას აპირებდა და შემდეგაც, მათ შორის ზუსტად იმ პერიოდშიც, როცა მჩხაბავი ელისო ნაციონალი გუბერნატორის კალთას მანამდე იყო შეფარებული, ვიდრე არც თუ მთლად სასახელო საქმიანობისათვის თავად მისმა ყოფილმა მფარველმა არ მოისროლა.





მუშია და მისი რამდენიმე თანამებრძოლი1999 წლის 15 ივნისს რედაქციაშიც კი გვეწვია, რათა ჩემთვის დაბადების მრგვალი თარიღი მოელოცა, რედაქციის მუშაკების თანდასწრებით პარტიზანული შენაერთის უმაღლესი ჯილდო გადმოეცა და ყველას გასაგონად მადლობა გადაეხადა იმის გამო, რომ ამ სასიქადულო მებრძოლების გაზეთ „თეთრ ლეგიონს“ და მათ პრესსამსახურს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვხელმძღვანელობდი.

ასე რომ, ყველამ ვიცოდეთ როგორც ჩვენი შესაძლებლობები, ისე ჩვენი სიმაღლეც და მაშინ ანგარებისა და მოხვეჭის სურვილით ქანქარასავით არავინ იქანავებს არც ერთმანეთთან დაპირისპირებულ პარტიიდან პარტიამდე და არც მილიონერიდან მილიარდელამდე.

მიზეზი უგუნური ბოროტებისა

„მისი სიტყვების დასაწყისი სისულელეა, ხოლო მისი სიტყვების დასასრული — უგუნური ბოროტება“. — ამბობს ეკლესიასტე.

ბრძენთა-ბრძენ სოლომონ მეფის შვილის ზემოხსენებული სიტყვები ქართულად ბრწყინვალედ გადმოაენა ჩემმა დიდი ხნის მეგობარმა და კოლეგამ, ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, ქალბატონმა თამარ მამისთვალოვმა, რომელმაც მრავალი საღვთო წერილი აამეტყველა ჩვენს დედაენაზე.

შემთხვევით არ გამხსენებია ზემოხსენებული სიბრძნე იმ P.S.-თან დაკავშირებით, რომლითაც მჩხაბავი ელისო კვლავაც ჯიუტად ცდილობს, ამტკიცოს, რომ თითქოს „საქართველოს რესპუბლიკამ“ დაუმსახურებლად გაიმარჯვა ტენდერში და მის შესახებ კრიტიკულ სტატიებს გაზეთი ვითომცდა ამიტომ აქვეყნებს მავანთა საამებლად.

ისევ და ისევ გავიმეორებ და ვიტყვი, რომ მისი ეს მოქმედება ძალზე წააგავს ჩვენგან უკვე ადრეც ნახსენებ ბაყაყის სინდრომს: ვერ ამჩნევს იმ ათეულ მილიონს, რომელიც სააკაშვილისეულ ერთ-ერთ „ჯიბის ტელევიზიას“ მავანთა საამებლად აპატიეს და ტენდერში გამარჯვებული, ბინაწართმეული ყოველდღიური გაზეთის უაღრესად მოკრძალებულ, თანაც გამარჯვებისთვის ელექტრონულ ტენდერში კანონიერად მიღებულ თანხაზე კი ვაი-უშველებელი ატეხა იმათ გასაგონად და დასაშინებლად, ვინც ვალდებულია, მოვლენებსა და ფაქტებს ფართო თვალებით უყურეს, თანაც გასაგონიც აუცილებლად გაიგონოს. საუბედუროდ, ვისაც ასეთი მოვალეობა აკისრია, მათგან დღემდე არაერთს აწუხებს ქათმის სიბრმავე და ბაყაყის თვალის სინდრომი. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, გავიხსენო კიდევ ერთი ამონარიდი ისევ ეკლესიასტეს სიბრძნიდან: **„რაკი სწრაფადვე არ ისჯება ბოროტი საქმე, ამიტომ ბედავენ ბოროტების ჩადენას“.**

ვფიქრობ, ზემოთ ხსენებული ორი ამონარიდით თითქმის ყველაფერია თქმული, მაგრამ მეტი ლოგიკური სიმტკიცისათვის სოლომონ ბრძენსაც მოვიშველიებ: **„სადაც შეშა არ არის, ცეცხლი ჩაქრება, სადაც ენატანია არ არის, შუღლს ბოლო ეღებაო“.**

არადა, სანამდე უნდა ავიტანოთ ჭორები, ენატანიობა, ყიამყრალობა და ისეთი „უაღრესად ზრდილობიანი“ სიტყვები, რომლებიც საკუთარი ოპუსის ბოლოს თავის ხელმოწერას წარუმძღვარა ჩვენმა „ოპონენტმა“: **„ყოველგვარი პატივისცემის გარეშე ელისო კილაძე“.**

როგორც ირკვევა, მგლის თავზე სახარების კითხვა ამაო და ფუჭი ცდა გახლავთ.

არც იმით შეიძლება თუნდაც წამით დაიიმედო თავი რომ ყორანს როდესმე გაათეთრებ. ამიტომ ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ თითოეული ჩვენგანის განმსჯელ-განმკითხველმა მკითხველმა თავად უნდა გადაწყვიტოს, შეიძლება თუ არა ენდოს და მოუსმინოს ისეთ დემაგოგსა და პროვოკატორ მჩხაბავს, როგორიც ელისო კილაძეა?!

ალექსანდრე შენგელია.

რედაქციის მინაწერი:

საოცარი დამთხვევა გამოვიდა. გაზეთ „ქრონიკა —“-ის რედაქტორის ელისო კილაძის ცილისმწამებლურ წერილებს, „სრულიად შემთხვევით“ აჰყვა „რუსთავი-2“-ის გადაცემა „განსხვავებული აქცენტების“ წამყვანი და შსს ყოფილი მაღალჩინოსნის შოთა უტიაშვილის მეუღლე ეკა კვესიტაძე, რომელმაც „მეორე ფრონტი“ გაგვიხსნა და რუსულ პროპაგანდაში დაგვდო ბრალი. ელისო კილაძე ჩვენს საპასუხო წერილს ჩვეული სტილით გამოეხმაურა და ამაყად განაცხადა, რომ ცილისწამების მუხლი კოდექსიდან დიდი ხანია ამოღებულიაო. ე. ი. მე და ეკა რასაც გვინდა იმას დავწერთ და ვიტყვით, და ვერავინ ბუზსაც ვერ აგვიფრენსო.

თუ ნაცპროპაგანდას „თხლად“ გადავავლებთ თვალს, ადვილად მივხვდებით, რომ ცილისწამების მუხლის ამოღება სწორედ კილაძის, კვესიტაძის მაგვარ ჭორნალისტებს და ნაცების მსგავს პოლიტიკანებს აძლევდათ ხელს.

თავის წერილს „ქრონიკა —“-ის რედაქტორი ასე ამთავრებს: ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის(?) ყველა ეტაპი მიყვარს. ბუნებაში არ არსებობს კომპრომატი, რომლისაც მეშინია!!!

რაც შეეხება ბიუჯეტის ფულს და ტენდერებს, რომლითაც ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადებით „საქართველოს რესპუბლიკა“ თურმე კონკურენტუნარიან გარემოში დაფინანსდა, ეს ნამდვილად საინტერესო თემაა, რომელსაც ახლო მომავალში აუცილებლად დავუბრუნდები“.

დაუბრუნდი მჩხაბავო ელისო. აუცილებლად დაუბრუნდი. ოღონდ საქმე ცოტა გაგირთულდება, რადგანაც „საქართველოს რესპუბლიკას“ ტენდერებით თქვენ მიერ დასახელებულ თანხაზე, გაცილებით მეტი აქვს მიღებული, „რუსთავი-2“-ისგან განსხვავებით, რომელმაც ყოველგვარი ტენდერების გარეშე ბოლო ხუთი თვის განმავლობაში ხელისუფლებისგან (SIC!) რეკლამების განთავსებაზე 400 000 ლარამდე მიიღო. ასევე ვიტყვით, რომ დღევანდელი ქართული მედიის კულუარებში მიმდინარე პროცესებში ჩახედულმა ხალხმა ძალიან კარგად იცის, თუ როგორ არიან ერთმანეთზე გადაბმულნი გაზეთ „ქრონიკა —“-ის მთავარი რედაქტორი და ძებნილი გენერალი ერეკლე კოდუა.

აი ამის გარკვევა კი მართლაც საინტერესო იქნება.

დედამიწის ზურგზე



„ნასას“-ახალი გეგმა ითვალისწინებს, 2021 წლამდე დააბრუნოს ადამიანი მთვარეზე, 2030 წლისათვის კი – შექმნას იქ მუდმივი ბაზა

ეს ხმაურიანი განცხადება გაისმა პროგრამა „აპოლო 11“-ის 46 წლისთავის აღსანიშნავად, რომელმაც პირველად მიიყვანა ადამიანი დედამიწის თანამგზავრზე. პროექტის რეალიზაციისთვის საჭირო გახდება კერძო – სახელმწიფო პარტნიორობა, ისევე, როგორც ამჟამად ხორციელდება საერთაშორისო კოსმოსური სადგურის მომარაგება.

* * *

რუსი და ამერიკელი მფრინავები აწყობენ გადაფრენას „ალიასკა-ციმბირი–2015“ გამარჯვების 70 წელთან დაკავშირებით

1942 წელს აგებული თვითმფრინავი „დუგლას დე ცე 3“, რომელიც „რუსეთის საავიაციო საზოგადოებას“ ეკუთვნის, გრეიტ-ფოლსიდან მონტანას შტატში გაფრინდება. პროექტში ასევე მონაწილეობას ღებულობს კიდევ ერთი თვითმფრინავი. 27-28 ივლისს თვითმფრინავებმა უნდა გადალახონ ბერინგის სრუტე და შევიდნენ რუსეთის საჰაერო სივრცეში.

* * *

ყირიმში შეკრებილი საფრანგეთის დეპუტატების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ეს მათი პირადი ინიციატივაა

უცხოელი პოლიტიკოსების სამდღიანი ვიზიტი 23 ივლისს დაიწყება. პროგრამაშია გამგზავრება და შეხვედრები ყირიმის ხელისუფლებასთან და მოსახლეობასთან. „ჩვენ გვინდა, გავიგოთ, თუ როგორ ცხოვრობს იქ ხალხი“, – განაცხადა საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატმა ტიერი მარიანიმ. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დეპუტატები გააფრთხილეს, რომ ყირიმში ვიზიტის იდეა პარიზს არ მიეკუთვნება.

* * *

სირიის აპოლოს რაიონში 3 ესპანელი ჟურნალისტი დაიკარგა

ანხელ სასტრე, ხოსე მანუელ ლოპესი და ანტონიო პამპლიეტა კავშირზე გავიდნენ 12 ივლისს, ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ისინი შეიძლება გაიტაცეს. სირიის ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის დაცვის ხელმძღვანელმა რამი აბდურახან განმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ ჟურნალისტები თარჯიმნებთან ერთად ნახეს 11 ივლისს ალეპო-ალ მაადის კვარტალში.

* * *

კენიაში ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტთან დაკავშირებით ჰყიდიან ფეხბურთის ფეხსაცმელებს ობამას გამოსახულებით

ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურის სახე ამშვენებს ფეხბურთის ფეხსაცმელებს, რომლებიც იყიდება სოფელ კორელოს ადგილობრივ ბაზარზე, სადაც პოლიტიკოსის მამა დაიბადა. გამყიდველს იმედი აქვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტი მნიშვნელოვნად გაზრდის გაყიდვას. 30 წლის მოვაჭრეს ოსიი ოვუორას აქვს 400-მდე ფეხსაცმელი მომღიმარი ობამათი, რომელიც ბებიასთან სტუმრად არ მივა, როდესაც კენიაში იქნება.



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
განმეორებითი აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს „ენგურჰესი“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო) დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 5 მაისის №5 სხდომის ოქმის გადაწყვეტილების შესაბამისად, ნაწილობრივ ამორტიზირებული ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით (ავტოსატრანსპორტო), აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:

#	დასახელება	ნომერი	გამოშვების წელი	საწყისი ფასი	„ხe”-ს ოდენობა	ბიჯი	ბილეთის ფასი	მდებარეობა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ტოიოტა ტაკომა	SSD-242	1997	7000	700	80	20	გალი
2	შევროლე ლაცეტი	INA-411	2007	6500	600	60	20	გალი
3	ოპელ ვექტრა	VNV- 724	1998	4000	400	50	20	გალი
4	ფორდ ტრანზიტი	LIK-368	1995	6000	600	60	20	გალი
5	კაზ–4540	A 287 PO	1999	1000	100	30	10	გალი
6	გაზ 24	A 637 AH	1982	400	60	20	10	გალი
7	ოპელ ვექტრა	CAI 638	1990	2000	200	50	10	გალი
8	ა/მ კოლხა სატვირთო	A 329 PO	2000	3500	350	40	20	გალი
9	კაზ 4360 სატვირთო	A 289 PO	1998	200	20	10	5	გალი

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ენგურჰესის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე“-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: შპს „ენგურჰესი“, სს „პროკრედიტ ბანკის“ ქუთაისის ფილიალის ზუგდიდის განყოფილება, ბანკის კოდი MIBGGE22, ანგარიშგების ანგარიში GE59PC0173600100015015, ს/კოდი 251716371.

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის № 90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2015 წლის 24 ივლისის 10 სთ-დან 2015 წლის 31 ივლისის 13 - სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2015 წლის 31 ივლისს 14 საათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰესთან“ შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი);

– „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

– აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის – ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

– სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი, ტელ. 595 227050 , 0415 221688.

შპს „ენგურჰესის“
აუქციონის მომწყობი კომისია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
განმეორებითი აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. რეჩხი), შპს ენგურჰესის დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 5 მაისის №5 სხდომის ოქმის გადაწყვეტილების შესაბამისად, ნაწილობრივ ამორტიზირებული ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით (ავტოსატრანსპორტო), აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:

#	დასახელება	ნომერი	გამოშვების წელი	საწყისი ფასი	„ბე”-ს ოდენობა	ბიჯი	ბილეთის ფასი	მდებარეობა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	მერსედეს ბენცი (ავტობუსი)	A964PO	1990	11000	1000	100	20	საბერიო
2	ზილ-131 სახანძრო	უნომრო	1989	6800	600	70	20	ჯვარი
3	უაზი მ/ა	FAH-255	1999	3500	350	50	20	ჯვარი
4	ვაზ 21213 „ნივა“	GSG-790	1998	2200	200	30	10	ჯვარი

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს ,,ვარდნილჰესების კასკადის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის (,,ბე“-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია.

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“, ს/კ 251716362

სს „თიბისი ბანკი“ კოდი TBCBGE22; ანგ. № GE50TB7808236030100001

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის № 90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2015 წლის 23 ივლისის 10 სთ-დან 2015 წლის 30 ივლისის 13-სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2015 წლის 30 ივლისს 14 საათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან ,,სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰესთან“ შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდად წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს ,,ენგურჰესის“ ოფისი);

– „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

– აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის – ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

– სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი, ტელ. 577 736952, 577 434493, 595 227050

შპს „ვარდნილჰესების კასკადის“
აუქციონის მომწყობი კომისია

ინფორმაცია საჯარო განხილვების შესახებ

500კვ-იანი ქსანი-სტეფანწმინდა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი

2015 წლის 24 ივლისიდან, სს. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა/შპს „ენერგოტრანსი“, საქართველოს კანონდებლობისა და გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) დირექტივების შესაბამისად, იწყებს „500კვ-იანი ქსანი-სტეფანწმინდა ელექტროგადამცემი ხაზის“ მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროექტის **ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების** დოკუმენტის საჯარო განხილვას. პროექტი გულისხმობს 500 კვ-იანი გადამცემი ხაზის (დაახ. 100 კმ) მშენებლობას, არსებულ ქსნის 500/220/110 კვ ქვესადგურსა და ასაშენებელ, სტეფანწმინდის 500/110 კვ ქვესადგურის დასაკავშირებლად

1. პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება ა.წ. 14 სექტემბერს, 11:00 სთ-ზე, მცხეთის რაიონის მუნიციპალიტეტის შენობის სააქტო დარბაზში, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7
2. ა.წ. 14 სექტემბერს, 15:00 სთ-ზე, დუშეთის რაიონის მუნიციპალიტეტის შენობის სააქტო დარბაზში, მე-2 სართულზე, შემდეგ მისამართზე: დუშეთის რაიონული ცენტრი, რუსთაველის ქ. №27.
3. ა.წ. 15 სექტემბერს, 12:00 სთ-ზე, ყაზბეგის რაიონის მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში, 1 სართულზე, შემდეგ მისამართზე: დაბა სტეფანწმინდა, ალექსანდრე ყაზბეგის №1.

განსახილველი გზშ-ს ანგარიშის წინასწარი ვერსია და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეთთვის ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

დოკუმენტის ნაბეჭდი ვერსიები

- გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ – ბარათაშვილის 32
- შპს „ენერგოტრანსი“ -ბარათაშვილის №2, I სართული

ელექტრონული ვერსიები

- დოკუმენტის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია - www.gse.com.ge; www._energotrans.com.ge ინტერნეტ გვერდებზე
- მცხეთის რაიონის მუნიციპალიტეტი
- დუშეთის რაიონის მუნიციპალიტეტი
- სტეფანწმინდის რაიონის მუნიციპალიტეტი

კომენტარები მიიღება ა/წ 29 ივლისიდან 9 სექტემბრის ჩათვლით, ელექტრონული ფორმით შემდეგ მისამართებზე: info@energotrans.com.ge; a.khetaguri@energotrans.com.ge; m.gikoshvili@energotrans.com.ge და
წერილობითი ფორმით მისამართზე: შპს „ენერგოტრანსი“ -ბარათაშვილის №2, I სართული.

Information on Public Disclosure

500 kW Ksani-Stepantsminda Power Transmission Line Construction Project

As per the guidelines of Georgian Legislation and German Development Bank (KfW), Georgian State Power System JSC/"Energotransi" Ltd. starts public disclosure of Natural and Social Environment Impact Assessment document within "500 kW Ksani-Stepantsminda Power Transmission Line" construction and operation project, since July 24th, 2015. The project considers construction of 500 kW transmission line (approximately 100 km) for connection of existing 500/220/110 kW Ksani sub-station and 500/110 kW Stepantsminda sub-station to be constructed.

1. Public disclosure meeting, on Environmental Impact Assessment (EIA) of the project will be held at 11:00 a.m. of September 14th, 2015 at an Assembly Hall of Mtskheta District Municipality building, located at the address as follows: #7 Antioqia Str., Town Mtskheta;
2. At 15:00 p.m. of September 14th, 2015 at an Assembly Hall of Dusheti District Municipality Building - 2nd Floor, #27 Rustaveli Str., Dusheti District Center;
3. At 12 p.m. of September 15th, 2015 at an Assembly Hall of Kazbegi District Municipality building, 1st Floor, at the address as follows: #1 Aleksandre Kazbegi Str., Daba Stepantsminda.

Draft of the EIA to be reviewed along with respective detailed information for interested parties is available at the following addresses:

Hard copies of the Document:

- #6 Gulua Str., Tbilisi City, Ecological Expertise and Inspection Department of Ministry of Natural Resources Protection of Georgia;
- #2 Baratashvili Str. – "State Power System of Georgia" JSC;
- 1-st Floor, #2 Baratashvili Str. – "Energotransi" Ltd.

Soft copies of the Document:

- Soft copy of the document is available at the following web-pages: www.gse.com.ge;

www._energotrans.com.ge ;
- Mtskheta District Municipality
- Dusheti District Municipality
- Stepantsmina District Municipality

Remarks via email will be accepted from July 29th through September 9th, 2015 at the following email addresses:
info@energotrans.com.ge;a.khetaguri@energotrans.com.ge;
m.gikoshvili@energotrans.com.ge, while hard copies of remarks may be submitted at 1-st Floor, #2 Baratashvili Str. – "Energotransi" Ltd.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 759

„20“ ივლისი 2015 წ. ქ. თელავი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 08 ივლისის №717 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბათილად იქნას ცნობილი „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ“ თვითმმართელი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 08 ივლისის 3717 ბრძანების დანართი 31-ით დამტკიცებული, თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის მე-8 მუხლი და ამავე ბრძანების დანართ №2-ით დამტკიცებული, თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაციაში მითითებული ლოტი №8 (თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე 86976 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კოდი 353.11.33.138).
2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ოფიციალურად გაცნობიდან 1 თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

ალექსანდრე შათირიშვილი.
გამგებელი

◎ ალიან-ჩალიანი

გაზგასამართი სადგურის ნაცვლად, მრავალფუნქციური კომპლექსი აშენდება

საკითხთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი განცხადებას ავრცელებს. „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ხელმძღვანელობის პროტესტმა შედეგი გამოიღო. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, თბილისის მერიამ და ბიზნესის წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს თსუ-ს რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, უნივერისტეტის აკადემიური საბჭოსა და სენატის, რაც მთავარია, სტუდენტების არაერთი განცხადება და თსუ-ს მეათე (მაღლივი) კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის ნაცვლად, მრავალფუნქციური კომპლექსი აშენდება. მრავალფუნქციურ კომპლექსში განთავსდება საცხოვრებელი ბინები და კომერციული დაწესებულებები, რასაც უნივერსიტეტი მიესალმება.

როგორც ცნობილია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარედ, სადაც ორი სასწავლო კორპუსის გარდა, განთავსებულია ბიბლიოთეკა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის თავმოყრის ადგილას გაზგასამართი სადგურის მშენებლობა იგეგმებოდა. გარდა იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება პირდაპირ უკავშირდებოდა ახალგაზრდების უსაფრთხოების ზომების უგულებელყოფას, აფერხებდა საუნივერსიტეტო სივრცის განვითარების შესაძლო პროექტებს, ასევე იგნორირებული იყო უახლოეს წარსულში გამოცხადებული არაერთი საინტერესო ინიციატივა, მათ შორის, ახალგაზრდული ცენტრის, კვების ობიექტების მშენებლობაზე, რაც სტუდენტობისთვის განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მადლობას უხდის საქართველოს მთავრობას, თბილისის მერიას და ბიზნესის წარმომადგენლებს საუნივერსიტეტო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებისთვის“, – ნათქვამია თსუ-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ფერმერს „ალდაგმა“ ზარალი აუნაზღაურა

მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში ფერმერ გიორგი ებანოიძეს სეტყვის შედეგად მიყენებული ზარალი სადაზღვევო კომპანია „ალდაგმა“ უკვე აუნაზღაურა.

2015 წლის 20 ივნისს, სეტყვამ გიორგი ებანოიძეს ხახვის მოსავლის 75% გაუნადგურა. სადაზღვევო ანაზღაურებამ 232 ათასი ლარი შეადგინა, რაც სადაზღვევო კომპანია „ალდაგმა“ გიორგი ებანოიძეს გამარტივებული პროცედურების შედეგად, უმოკლეს ვადაში აუნაზღაურა. კომპანიის ინფორმაციით, ფერმერი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს „აგროდაზღვევის“ პროგრამაში 2014 წლის ოქტომბრის თვეში ჩაერთო. პროექტის დახმარებით, 17 ჰექტარი ხახვის მოსავალი დააზღვია, სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 30 345 ლარი, აქედან სააგენტოს გადასახდელმა თანხამ 28,560 ლარი, ხოლო გიორგი ებანოიძეს მხოლოდ 1785 ლარის გადახდა მოუხდა.

კომპანიის ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამა „აგროდაზღვევის“ მენეჯერი ლევან მაღრაძე, სადაზღვეო კომპანია „ალდაგის“ ქონებრივი ზარალების მართვისა და მომსახურების დეპარტამენტის დირექტორი ვახტანგ ებიტაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მარნეულის რაიონში დაზარალებულ გიორგი ებანოიძეს შეხვდნენ და სტიქიის შედეგად განადგურებული ნაკვეთი დაათვალიერეს. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამას სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარებას და აგრო სექტორში სადაზღვევო ბაზრის დამკვიდრებას. აქედან გამომდინარე, პროგრამის მეორე ეტაპის ფარგლებში, სახელმწიფო ფერმერებს სადაზღვევო პრემიის დიდ ნაწილს (40%-დან 60%-მდე) უფინანსებს.

ინტერპრესი

◎ გინდა ახტი, გინდა დახტი

შესაკრებთა ადგილების შეცვლით ჯამი არ იცვლება

როცა გორის „დილას“ ბელგრადის „პარტიზანთან“ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო საკვალიფიკაციო შეხვედრაში ბუკმეკერებმა „კუში“ თითქმის 6-მდე გაუზარდეს, მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ ამჟამად საქართველოს უძლიერეს კლუბს ევროპელები არ აფასებდნენ და დამამცირებელ სასტარტო მდგომარეობაში აყენებდნენ, მაგრამ ხომ იცით, წყალწაღებული ყოველთვის ხავსს ეჭიდება და, თანაც, იმედი ბოლოს კვდება. არადა, თურმე სად ვბანაობთ.

„დილა“ – „პარტიზანი“ 0:2
(პირველი მატჩი 0:1)

გორის განახლებულ სტადიონზე განათების არარსებობის გამო საპასუხო რაუნდი პაპანაქება სიცხეში, დღის ხუთის ნახევარზე დაინიშნა.

ზოგადად, ქართველები და, კონკრეტულად, შიდაქართლელები სათანადო ფიზიკური კონდიციებით არასოდეს გამოვირჩეოდით, ამიტომ აღნიშნულმა გარემოებამ სტუმრებს დამატებითი კოზირი შესძინა. ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ჩრდილში გადამწყვეტ უპირატესობას მოვიპოვებდით, მაგრამ ასე უსუსურნი რომ არ ვიქნებოდით, რატომღაც დარწმუნებული ვარ.

სხვათა შორის, ეს ვარაუდი შესვენების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა განმიმტკიცა, როცა შედარებით აგრილდა, მაგრამ ამ დროს ურემი უკვე გადაბრუნებული იყო – პირველი ტაიმის მიწურულს პეტროვიჩმა კიდევ ერთხელ გაინავარდა მარცხენა ფლანგზე, ხურცილავას ბურთი ფეხებშუა გაუტარა და ბრაშანაცს ანგარიში გაახსნევინა – 1:0. ამ გოლმა ყველა კითხვას გასცა პასუხი – ცხადი იყო, რომ მასპინძლები სამი ბურთის გამტანნი არ იყვნენ. პირიქით, ბოლო წუთებზე მეორეც გაუშვეს.

ასე სამარცხვინოდ დასრულდა ქართული გუნდებისთვის წლევანდელი ევროსეზონი. ვიდრე ჩვენს ფეხბურთში ძირეული რეფორმა არ განხორციელდება, კიდევ კარგახანს მივიღებთ ანალოგიურ სურათს.

გიორგი შოთაძე

◎ თბილისი – 2015

მოეწყო ფესტივალისადმი მიძღვნილი მარკების პრეზენტაცია

გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ ევროპის ახალგაზრდული ფესტივალისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკების პრეზენტაცია გაიმართა. თბილისი ფესტივალს 26 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით უმასპინძლებს.

„სასიხარულოა, რომ ამ მოვლენას ასეთი ლამაზი საფოსტო მარკები მიეძღვნა. დარწმუნებული ვარ, ეს ლამაზი სუვენირი ფესტივალის მონაწილეებისთვის და სპორტის მოყვარულებისთვის სასიამოვნო სიურპრიზი იქნება, ხოლო ფილატელისტებისთვის – კარგი საჩუქარი. მსურს მადლობა გადავუხადო ამ საქმის მესვეურებს“, – განაცხადა სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა.

მარკების პრეზენტაცია ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის და შპს „საქართველოს ფოსტის“ მხარდაჭერით შედგა.

შეხვედრას თბილისი 2015-ის მონაწილე სპორტსმენებთან ერთად ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძე, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორი ლევან ჩიკვაიძე და თბილისი 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ახვლედიანი, სხვა სტუმრები და ჟურნალისტები დაესწრნენ.

თბილისი 2015-ს ორმარკიანი მცირე ფურცელი და ორი საფოსტო მარკა მიეძღვნა. მათზე ფესტივალის თილისმა ხოხობი და პროგრამაში შესული სპორტის სახეობების სიმბოლოებია გამოსახული. მარკების დიზაინი თამარ დემეტრაშვილმა და გიორგი ქართველიშვილმა შეიმუშავეს.

მარკები საქართველოს ფოსტის საფოსტო განყოფილებებში და სერვის-ცენტრებში დღეიდან გაიყიდება. ორმარკიანი მცირე ფურცლის ფასი 4 ლარია, თითო საფოსტო მარკის კი – 2 ლარი.

კობა კობახიძე

◎ მოვლენის წინ

ჩვენც გველირსა

საქართველოში პირველად ევროპის ჩემპიონის თასი ჩამოვიდა. ევრობასკეტის თასის თბილისური ტურის ფარგლებში საჩემპიონო თასი ჯერ გამოიფინა დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში (მეტეხი, აბანოთუბანი, მშვიდობის ხიდი, გმირთა მოედანი, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორია...), ქართული სპორტისა და ხელოვნების მუზეუმებში, ხოლო შემდეგ – „თბილისი მოლში“, სადაც 3X3 კალათბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ჩატარდა.

ევროპის საჩემპიონო თასი გარდამავალია. იგი 23 სანტიმეტრი სიმაღლისაა, იწონის 18 კილოგრამს და შეიცავს მრავალ ძვირფას ლითონსა თუ ქვას. თასი მოოქროვილია და გარშემო 24 ძვირფასი თვალი აკრავს. მათ შორის აგატი, ამეთვისტო, ყვითელი კვარციტი, გრანიტი, მალაქიტი. მისი ავტორია ცნობილი გერმანელი ოქრომჭედელი გიუნტერ შიობელი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

შეურიგდება მარიო ყოფილ გულის სწორს?

გლდანელი როენას მიერ დასაქმებული ქალბატონებიც კი არ იკადრებდნენ იმას, რაც ამ ორი წლის წინათ მარიო ბალოტელის ყოფილმა გულისსწორმა, ბელგიელმა მოდელმა ფანი ნეგუუშამ იკადრა. როგორც გახსოვთ, ფანიმ მარიოსთან დაშორება მაშინ ვერ გადაიტანა და შავტუხა იტალიელი საშინელი სიტყვებით შეამკო.



ამის შემდეგ გავიდა დრო და, როგორც ჩანს, ფანი ნეგუუშას ტვინში ჭანჭიკები სულ სხვანაირად შეტრიალდა. რამდენიმე დღის წინათ ფანი იტალიაში მარიო ბალოტელის მამის გასვენებაში ჩასულა და ყოფილი სატრფოსთვის გულითადი სამძიმარიც პირადად გამოუთქვამს.

მარიო ბალოტელის საფეხბურთო კარიერა რომ თავდაღმართში მიექანება, ეს ფეხბურთის ყველა მოყვარულმა იცის და ასეთ დროს თანადგომა, თუნდაც ყოფილი შეყვარებულისგან, მართლაც რომ მნიშვნელოვანია. ჯერ, რა თქმა უნდა, არავინ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ ასეთი ჟესტის შემდეგ მარიოსა და ფანის შორის არც დიდი და ისტორიული შერიგება უნდა გამოვრიცხოთ.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ რაგბი

„ბორჯღალოსნებმა“ პირველი შეკრება დაასრულეს

2015 წლის მსოფლიო თასამდე 60 დღე რჩება. უკვე „ბორჯღალოსნებმა“ მსოფლიოსწინა მზადების პირველი ფაზა, სამკვირიანი ფიზმომზადების შეკრება დაასრულეს „შევარდენზე“ და ერთ კვირას დაისვენებენ. მწვრთნელები პირველი ფაზით და გუნდის მდგომარეობით კმაყოფილნი არიან, ვინაიდან ბიჭებმა ბოლო სამი კვირის განმავლობაში მზარდ დატვირთვას კარგად გაუძლეს. ერთკვირიანი დასვენების შემდეგ გუნდი შემდგომ 9-დღიან შეკრებას კვლავ „შევარდენზე“ გაივლის. სამწვრთნელო შტაბის განცხადებით, მეორე ფაზა კიდევ უფრო რთული და დატვირთული იქნება, მაგრამ ისინი

დარწმუნებულნი არიან, რომ ბიჭები ამას თავს კარგად გაართმევენ.

მილტონ ჰეიგი პირველ შეკრებას აფასებს

„რა თქმა უნდა, მწვრთნელები კმაყოფილები ვართ ამ შეკრებით და დარწმუნებული ვარ, რომ ბიჭებსაც ახარებთ შედეგები. გარდა იმისა, რომ ისინი პირველი სამი კვირის შემდეგ თავს მხნედ გრძნობენ, მათ ყველაფერი ზედმიწევნით კარგად შეასრულეს. დარწმუნებული ვარ, აქამდე, არც ერთ შეკრებაზე ამ დონის სამუშაო არ შეუსრულებიათ. გულწრფელად რომ გითხრათ, საქმე 95 პროცენტით შევასრულეთ, რაც დამაკმაყოფილებელია და აუცილებლად წაგვადგება.

„რასაც ჩვენ მივაღწიეთ, არის ის, რომ მოთამაშეებმა კვირიდან კვირამდე მზარდ დატვირთვას თავი კარგად გაართვეს, რისი ნათლად ნახვაც შეკრების ბოლოს იყო შესაძლებელი – ეს რომ პირველი კვირა ყოფილიყო, ბიჭებს სადილის თავიც არ ექნებოდათ. აქედან გამომდინარე, მეორე კვირა პირველზე უკეთესი იყო, ხოლო შეკრების ბოლოს ბიჭები შესაშურ ფორმაში იყვნენ იმის გათვალისწინებითაც, რომ ბოლო ვარჯიში აქამდე ჩატარებულებიდან ყველაზე რთული იყო.“

ერთ კვირას დაისვენებენ

ახლა, როდესაც „ბორჯღალოსნებმა“ დასვენების პირველი კვირა დაიმსახურეს, სამწვრთნელო შტაბმა მათ სთხოვა არ დავიწყებოდათ, თუ რა სირთულის შეკრება გაიარეს. გარდა ამისა, მოთამაშეებს სხვადასხვა ვარჯიშების შესრულება მოუწევთ. ერთი კვირის თავზე კი გუნდი „შევარდენს“ დაუბრუნდება, სადაც პოლონეთში გამგზავრებამდე 9-დღიან შეკრებას გაივლის. ამ შეკრების დროს სამწვრთნელო შტაბი სარაგბო ელემენტებს და სპეციფიურ ვარჯიშებს დავამატებთ, მაგრამ ეს მაინც ფიზმომზადებაზე ორიენტირებული შეკრება იქნება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 9-დღიანი შეკრების დასრულების შემდეგ „ბორჯღალოსნები“ პოლონეთში გაემგზავრებიან, სადაც 10 დღის განმავლობაში კრეოთერაპიის დახმარებით განაგრძობენ მომზადებას. სპეციალური კრიოკაბინები ფორმაში ჩადგომის მაქსიმალურად სწრაფ ეფექტს იძლევა. ეს ეტაპი ასევე ფიზმომზადებას დაეთმობა. რაც შეეხება სარაგბო კუთხით ვარჯიშს, ის მხოლოდ ინგლისში შეკრებაზე გამგზავრების შემდეგ დაიწყება, როდესაც ნაკრები საბოლოო მოსამზადებელ ეტაპზე გადავა.

პოლონეთის შემდეგ „ბორჯღალოსნების“ ერთ კვირას შინ დაისვენებენ და 24 აგვისტოს მსოფლიოსთვის მოსამზადებელი ეტაპის ბოლო ფაზის გასავლელად ინგლისში გაემგზავრებიან.

ბადრი იაშვილი

◎ ენა ჩვენი, ქართული

განრიგი — ნუსხა

ჩვეულებრივ, როცა რომელიმე უწყების დებულებას ადგენენ, თან დაურთავენ ხოლმე სტრუქტურასა და დოკუმენტს, რომელსაც „საშტატო განრიგს“ უწოდებენ. რამდენად სწორია ეს გამოთქმა? სანამ პასუხს გავცემდეთ ამ კითხვას, გავარკვიოთ, რას ნიშნავს შტატი (შტატები) და რას — განრიგი?



შტატი... რომელიმე დაწესებულების თანამშრომელთა მუდმივი შემადგენლობა — ჩარიცხეს შტატში, შტატების შემცირება (ქეგლ-ი);

შტატი. მე-2 მნიშვნელობა — ამათუ იმ წარმოებაში, დაწესებულებაში მომუშავეთა მთელი შემადგენლობა, რომელიც დამტკიცებულია სათანადო ზემდგომი ორგანოების მიერ (მ. ჭაბაშვილი. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“);

განრიგი, განრიგება — გრაფიკი, რომელიც შეიცავს ცნობებს რისამე შესრულების დროის, ადგილისა და თანმიმდევრობის შესახებ: **ლექციების განრიგი** (ქეგლ-ი);

расписание — განრიგი, განრიგება, ცხრილი: расп. движения поездов — მატარებელთა მიმოსვლის განრიგი; расп. уроков — გაკვეთილების ცხრილი;

штатный _ штатный служащий — შტატის მოსამსახურე; шт. должность — საშტატო თანამდებობა („რუსულ-ქართული ლექსიკონი“). სხვა მნიშვნელობით ეს ტერმინები ნახმარი არ არის.

როგორც ვხედავთ, „შტატს“ საერთო არა აქვს რა „განრიგთან“. აქაც ის გვჭირს, რაც საერთოდ გვემართება ხოლმე უცხო ტერმინების ხმარებისას — მისი მნიშვნელობის ვიწრო, ცალმხრივი გაგება და გაუაზრებლად ქართულ ენაში გადმოტანა.

კითხვა რომ პასუხს ელოდება? პასუხი ერთი შეიძლება იყოს: გამოთქმა „საშტატო განრიგი“ სწორი არ არის. უნდა იყოს: **საშტატო** ნუსხა.

ამას გვიდასტურებს კიდეც პროფესორ კ. გაბუნიას მიერ შედგენილი და პროფესორ ნ. ტყეშელაშვილისა და დოცენტ რ. ღამბაშიძის რედაქციით 1971 წელს გამოცემული „სამრეწველო საწარმოს ორგანიზაციისა და დაგეგმვის ტერმინოლოგია“ (ტირაჟი — 1000?!).

რაკი ნუსხაზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ ერთი საკითხიც განვიხილოთ. საქმე **„ხარჯთაღრიცხვას“** ეხება.

ყველა საცნობარო წყაროში გვხვდება ხან „ხარჯთაღრიცხვა“, ხან — „ხარჯების ნუსხა“, ხან კი — ორივე ერთად, პრაქტიკაში კი საყოველთაოდ დამკვიდრებულია „ხარჯთაღრიცხვა“. ამავე დროს ნუსხა და ხარჯების ნუსხა სულაც არ ნიშნავს ხარჯთაღრიცხვას.

ამას ერთ დროს ყურადღება მიაქცია დოცენტმა ვლადიმერ ლებანიძემ. იგი წერდა, რომ ნუსხა ორგანიზაციის, დაწესებულებების მომავალი პერიოდის ხარჯთა აღწერაა, იგი ხარჯების გეგმაა და მას ადგენენ თვით დაწესებულებები და ორგანიზაციები. მისი **აღრიცხვათა** შეცვლა ყოვლად გაუმართლებელია. ნუსხით გათვალისწინებული ხარჯების გაწევის შემდეგ ხდება მისი შესრულების აღრიცხვა სათანადო ფორმებითა და მეთოდებით.

ამიტომ, ვთქვათ, ბიუროს, რომელიც ხარჯების აღრიცხვას კი არ ახდენს, არამედ სამშენებლო სამუშაოთა პროექტებსა და ამ სამუშაოების შესრულების გეგმას ადგენს და მათს ღირებულებას ნუსხაში აღწერით გამოხატავს, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ბიურო კი არა, საპროექტო სანუსხო ბიურო უნდა ერქვას, რადგან იგი მგეგმავი ორგანოა და არა ხარჯების აღმრიცხველიო.

შემთხვევითი არ არის, რომ იმავე „სამრეწველო საწარმოს ორგანიზაციისა და დაგეგმვის ტერმინოლოგიაში“ ძირითადად ვხვდებით ასეთ შესიტყვებებს: დანახარჯების ნუსხა (смета затрат) , წარმოებაზე დანახარჯთა ნუსხა, საერთო-საფაბრიკო ხარჯების ნუსხა, ხარჯების ნუსხა (смета расходов) და ა. შ.; მაგრამ არის აგრეთვე: სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, სახარჯთაღრიცხვო ფასი.

მაშასადამე, როცა ლაპარაკია გეგმებზე, უნდა ვთქვათ ხოლმე: **ნუსხა, ხარჯების ნუსხა,** ხოლო გაწეული ხარჯების შეჯამებაზე რომ მიდგება საქმე — ხარჯთაღრიცხვა. არ არის ძნელი ამ საკითხის მოგვარება.

ოთარ კაპანაძე

◎ ალიან-ჩალიანი

წალკაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ და მუნიციპალური განვითარების ფონდმა ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით, წალკაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო.

პროექტის ღირებულება 3 მილიონ ლარზე მეტია. მისი დასრულების შემდეგ, წალკაში მცხოვრები 1200 ოჯახი 24-საათიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

მიმდინარე სამუშაოებს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი ნიკოლოზ ქიზიყურაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

წყლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის შედეგად წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 5000-მდე ადამიანს გაუუმჯობესდება როგორც წყლის ხარისხი, ასევე მისი მიწოდების გრაფიკი. პროექტის ფარგლებში მოხდება: სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, სანიაღვრე კოლექტორისა და საქლორატოროს მოწყობა, ორი ახალი რეზერვუარისა და მაგისტრალური მილსადენის მშენებლობა, ასევე გამანაწილებელი ქსელის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. პროექტი, რომლის ფარგლებშიც 20 ადამიანი დასაქმდა, 2016 წელს დასრულდება.

გატაცებული მამაკაცი ცხინვალის მილიციიდან გაანთავისუფლეს

ქარელის რაიონში, სოფელი კნოლევის ახლოს ოთხი დღის წინათ გატაცებული 53 წლის ვაჟა თოთლაძე ცხინვალის მილიციის იზოლატორიდან სამშაბათ საღამოს გაანთავისუფლეს.

ორი დღის წინათ ერგნეთში ინციდენტების პრევენციის ფორმატში გამართულ რიგგარეშე შეხვედრაზე ქართულმა მხარემ რამდენიმე მოთხოვნას შორის ვაჟა თოთლაძის განთავისუფლების საკითხი დააყენა.



ვაჟა თოთლაძე სახლში დაბრუნდა. მისი თქმით, მასზე რაიმე ტიპის ზეწოლა არ განხორციელებულა.

ოსურმა მხარემ ვაჟა თოთლაძე ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთაში დაადანაშაულა და ჯარიმის სახით 2 000 რუბლი გადაახდევინა.

ამოღებულია რამდენიმე ათეული კილო „ამფეტამინი“

შსს-ს ინფორმაციით, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე არტაკ ჰ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა პირმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები უკანონოდ შეიძინა და მათი საქართველოში უკანონოდ შემოტანა განიზრახა. არტაკ ჰ-მ სომხეთის რესპუბლიკიდან საბაჟო გამშვებ პუნქტ „სადახლოს“ გავლით, საქართველოში თავისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის — TOYOTA LAND CRUISER-ის გაუქმებულ ავზში უკანონოდ შენახული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები შემოიტანა. ავტომანქანის შემოწმებისას სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს 96,460 ლიტრი თხევადი ნივთიერება, რომელიც განსაკუთრებით დიდი ოდენობით — 57,24 კილოგრამ ნარკოტიკულ საშუალება „ამფეტამინს“ და ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით — 226,681 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „მეტამფეტამინს“ შეიცავდა.

შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ქიმიური ექსპერტიზის დასრულებისა და ნივთიერებების ოდენობის დადგენის შემდეგ არტაკ ჰ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში დააკავეს.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **ჯერ რას დაიბრუნა და ახლა კიდე უფასოდ ნახეთო! იქნებ ფულის გადახდა მინდა, ვინ კითხავს მაგას?**

● **ყველა ჯურის, პროფესიის და მოწოდების ადამიანი თავის აქცია-ღონისძიებას ერთ გარკვეულ ალაგას მართავს — მრევლი ეკლესიაში, სპორტსმენი სტადიონზე, ძველი ბიჭი ბირჟაზე, ყარაჩოხელი დუქანში და ა.შ.**

ეს ნაცები თავიანთ კამსამოლსკი და ასო დანამატებთან ერთად ხან კანცელარიასთან რო ყრიან, ხან საზღვარზე, ხან საელჩოებთან და ხან გალავინსკზე, ერთი კაცური კაცი ვერ გამოჩნდა რო მიუთითოს — მაგათი ადგილი ცირკთან არის!!! ცირკთან!!! შეიკრიბონ და ატრაკონ რამდენიც უნდათ — ისიამოვნებენ კიდეც და პარწიინი კასასაც შაამსებენ!

● **რაღაც სამშენებლო კომპანიის რეკლამა გადის, საათში ერთხელ, რომელიც ასეთი ფრაზით მთავრდება: „სახლი, რომელიც ჯერ არ უნახავს თბილისს“.**

ვინმე ქართული ენის საშუალოდ მაინც მცოდნე ადამიანი დაუმატებდა ამ ფრაზას ერთადერთ სიტყვას — „ასეთი“ და დალაგდებოდა ყველაფერი.

რამდენ თემაზე ვიფიქრო? გასკდა თავი!

● **დონალდ ტუსკი საოკუპაციო ხაზთან ჩავიდა და შემთხვევით, საზღვარს წამოსდო ფეხი, რითაც თავისდაუნებურად, 50 სანტიმეტრით გაზარდა დამოუკიდებელი „ირისტონის“ ტერიტორია...**

● **გერმანიის დროშა უკულმა ეკიდაო ამბობენ.კაცო, დროშა კი არ ეკიდა უკულმა, ჩვენი ქვეყანაა ამოყირავებული და ჩვენს დროშაზე ვერ ვამჩნევთ!!!**

● **8 აგვისტოს, წითელ ხიდზე,**
რომ მოქუჩდა ბლომად ბარგი,
აი რატომ, აი რატომ
თქვენი კეთილი და კარგი.

● **ამ მოვაჭრეებს მინდა ვუთხრა რა, თქვენ, ბიძია, ჩვენი ველოსიპედით გინდათ სამოთხეში შესვლა? ხო არ გაჟრიალებთ ცოტა? პამიდორი... 2,50, 2, ამ შუა ზაფხულში, ვინ გიწესებთ ფასებს, თქვე დედა აფეთქებულებო.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ინფორმაცია

სემეკმა, თბოელექტროსადგურების მოთხოვნით, გაძვირებული ტარიფი დაადგინა

სემეკმა თბოელექტროსადგურებისთვის ახალი, გაძვირებული ტარიფი დაადგინა. სემეკმა გუშინ გამართულ საჯარო სხდომაზე წარმოადგინა თბოელექტროსადგურებისთვის ახალი ტარიფის ორი პროექტი. პირველში გათვალისწინებული იყო ის ზარალი, რომელიც თბოელექტროსადგურებმა ლარის კურსის ვარდნის შედეგად განიცადეს, მეორე პროექტი კი, ზარალის და ეკონომიის ერთბაშად გაქვითვას ითვალისწინებდა. კომისიამ კენჭი სწორედ მეორე პროექტს უყარა, რომელიც თბოელექტროსადგურებისთვის მიუღებელი იყო.

მოქმედი ტარიფი კომპანია „ჯიფაუერისთვის“ 7,397 ლარი იყო, ახალი ტარიფით განისაზღვრა 7,534 ლარი. შპს „მტკვარი ენერგეტიკისათვის“ — მოქმედი ტარიფი 7,229 ლარი გაიზარდა 10,871 ლარამდე. რაც შეეხება საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას, დღევანდელი ტარიფი 7,319 იყო, ახალი ტარიფი კი 10,194 ლარით განისაზღვრა.

ტაქსის მძღოლებს უცხო ენას უფასოდ ასწავლიან

ტაქსის მძღოლებისთვის ინგლისური ენისა და მომსახურების უნარ-ჩვევების შემსწავლელი უფასო კურსები გრძელდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ტურიზმის ადმინისტრაციიდან აცნობეს, ისინი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ტაქსის მძღოლებისათვის უფასო კურსებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ატარებენ.

მათივე განმარტებით, ტრენინგები თბილისში, მცხეთასა და სტეფანწმინდაში გაიმართა. პროექტის ამ ეტაპზე 50 მსურველი შეირჩა. კურსის დასრულების შემდეგ ტაქსის მძღოლებმა ტესტირება გაიარეს. კურსდამთავრებულებს შესაბამისი სერტიფიკატი დასამაგრებელი ნიშანი, წარწერით English Speaking Taxi გადაეცათ, რომელიც ავტომობილის საქარე მინაზე განთავსდება. სპეციალური ნიშანი ტურისტებისთვის ადვილად საცნობი იქნება.

„სასწავლო კურსის დასახელება: „ტურიზმის სფეროს საბაზისო ინგლისური ენის ცოდნა და მომსახურებების უნარ-ჩვევების ტრენინგი“.

კურსის დასრულების შემდეგ კურსდამთვარებულმა ინგლისურ ენაზე უნდა შეძლოს: სტუმრის მისალმება, დახვედრა და გაცილება მომსახურების სფეროს წესების დაცვით; სტუმრისათვის მიმართულებების ახსნა თბილისის ფარგლებში, რუკაზე მიმართულებების ჩვენება და მიმართულებებისათვის საჭირო დროისა და საფასურის სწორად ახსნა; მგზავრობის წესებისა და ტარიფების სიზუსტით ახსნა, ბარგთან დაკავშირებულ და სხვა მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა; სერვისზე ზრდილობიანად უარის თქმა, თუ ეს მოთხოვნა მის შესაძლებელობებს აღემატება; სტუმართან ამინდსა და სხვა მარტივ სასაუბრო თემებზე პასუხის გაცემა.

სასწავლო კურსი ჯამში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 36 საათს და გადანაწილდეს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით არანაკლებ 4 კვირაზე“, — აცხადებენ ტურიზმის ადმინისტრაციაში.

კოტე თოლორდავას გარდაცვალების მიზეზი მიოკარდიუმის ინფარქტია

კოტე თოლორდავას მეუღლემ განო მელითაურმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, კოტე თოლორდავას გარდაცვალების მიზეზი მიოკარდიუმის ინფარქტია, რამაც გულის მწვავე უკმარისობა გამოიწვია.

განო მელითაურის თქმით, მნიშვნელოვანია ჟურნალისტები სწორ ინფორმაციას ფლობდნენ, რათა საზოგადოებამ სიმართლე იცოდეს.

„ჩემი ოჯახისთვის და, პირველ რიგში, ჩემი შვილებისთვის, უმნიშვნელოვანესია ის, რომ თითოეულმა თქვენგანმა, იმიტომ რომ თქვენ ხართ მედიატორები ჩვენსა და საზოგადოებას შორის, სიმართლე, რეალობა იცოდეთ, რაც აუცილებლად უნდა გაიგოს თითოეულმა ადამიანმა“, — აღნიშნა განო მელითაურმა.

სასამართლო-სამედიცინო დასკვნა ოჯახმა მოსკოვიდან მიიღო.

საერთაშორისო სტანდარტების ველოპარკი აშენდება

ბაკურიანში რამდენიმე კვირაში პროფესიონალური დონის ველოპარკის მშენებლობა დაიწყება. ანალოგიური პროექტი გუდაურში ხორციელდება, რომლის მიზანია დამატებითი ტურისტული პროდუქტის შექმნა. ინიციატივა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კურორტებზე სეზონურობის გახანგრძლივებას.

ველობილიკი არ გადაკვეთს სასრიალო ტრასებს და გადაადგილება სრულიად უსაფრთხო იქნება.

პროექტს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და მთის კურორტების განვითარების კომპანია ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ ველობილიკებით სარგებლობა ტურისტებისა და ექსტრემის მოყვარულებს დღესაც შეუძლიათ.

⊙ იცოდით?

ყნოსვა ციფრებსა და ფაქტებში

ყნოსვა — ესაა უნარი, აღვიქვათ სუნი. ერთ-ერთი უძველესი გრძნობაა, რომლის დახმარებითაც ცხოველები აკეთებენ ორიენტაციას თავიანთ გარემოცვაში.

5 კვადრატული სანტიმეტრი — ესაა ადამიანის ყნოსვითი ზონის მოედანი.

10-11 მილიონი ყნოსვითი უჯრედი არის ადამიანის ცხვირში, ძაღლებს კი ასეთი 230 მილიონი უჯრედი აქვთ, ესე იგი 20-ჯერ უფრო მეტი.

ყნოსვის სიმახვილეს ზომავენ სპეციალური ხელსაწყოს — ოლფაქტომეტრის მეშვეობით.



ქალაქის სუნთა 70 პროცენტამდე ვერ აღიქვამენ მეგაპოლისის მცხოვრებლები. აფრიკელს, რომელიც ველურ ბუნებაში ცხოვრობს, აქვს უნარი, ამოიცნოს იმ თავისი მეგობრის სუნი, რომელმაც ტყის ბილიკზე რამდენიმე საათის წინ გაიარა.

10 000-ზე მეტის სუნის გარჩევის უნარი აქვს ადამიანს.

სუნების გარჩევის უნარი ასაკთან ერთად მცირდება, თანაც ქალები ყნოსვას უფრო დიდხანს ინარჩუნებენ, ვიდრე მამაკაცები.

ადამიანებში ყველაზე საყვარელია ახალი პურის, ახალი მოთიბული ბალახისა და ყავის სუნი. ფუნთუშებისა და ყავის სუნი არა მხოლოდ აღაგზნებს მადას, არამედ ზრდის სურვილსაც, იყიდოს ისინი. ამიტომაა, რომ ხშირად დიდ მაღაზიებში დგას ყავისა და ახალი გამომცხვარი რამის სუნი.

ფეხმძიმობის დროს ყნოსვა შეიძლება არსებითად გაიზარდოს.

დაახლოებით 6 მილიონი წლის წინათ ადამიანში დაიწყო ყნოსვითი რეცეპტორების გენების მასობრივი გარდაქმნა ფსევდოგენებად, როდესაც სხვადასხვა მიმართულებით წავიდა ადამიანთა წინაპრებისა (ჰომნინების) და შიმპანზეს გზები. ადამიანს ცხოველებთან შედარებით მეტად სუსტი ყნოსვა აქვთ.

ქალებს ყნოსვა უკეთესი აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. მარჯვენა ნესტოთი ჩვენ ვიჭერთ სუნებს უფრო უკეთესად, ვიდრე მარცხენა ნესტოთი.

ყნოსვის დაქვეითება (ჰიპოსმია) ან მისი არარსებობა (ანოსმია) შეიძლება გამოწვეული იყოს გაცივებით, სიმსივნეებით და თავის ტვინის ტოქსიკური დაზიანებებით, ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევებით, თავის ტვინის ტრავმით.

11 კილომეტრის მანძილზე გრძნობს დედალი პეპლის Astias selene**-ის სუნს მამალი პეპელა. ცხოველთა უმრავლესობა ორიენტირებას აკეთებს სუნის მიხედვით, შოულობს საკვებს, ირჩევს სქესობრივ პარტნიორს.**

კარგად განვითარებული ყნოსვა ახალშობილებს სიცოცხლის პირველ წელს 40-50 პროცენტით ეკარგებათ.

ყნოსვა შეიძლება იცვლებოდეს ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის შესაბამისად (სიცხესა და ნესტიან ამინდში სუნს ვგრძნობთ უფრო ძლიერად), დღე-ღამის დროის მიხედვით (სინათლეზე ჩვენი მგრძნობელობა უფრო მაღალია, ვიდრე სიბნელეში)...

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

იყიდება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

⊙ ცინცხალი ანეკდოტები

— **მიხო**, სად მუშაობ?
— სამსახურში.
— და რას აკეთებ იქ?
— სახლში წასვლის დროს ველოდები.

* * *

— **ეძიმო**, თვალწინ სულ რაღაც ლაქები მიტრიალებს!
— სათვალეებმა არ გიშველეს?
— როგორ არა, ლაქები უფრო გამოკვეთილად ჩანს.

* * *

— **როგორი** ელეგანტური კოსტიუმი გაცვიათ!
— ცოლის საჩუქარია. თანაც ყოვლად უმიზეზოდ ნაჩუქარი.

გუშინ გვიან ღამით დავბრუნდი მივლინებიდან ვადამდე ერთი დღით ადრე. ვხედავ, ეს კოსტიუმი ჰკიდია პირდაპირ საწოლის სიახლოვეს. წარმოგიდგენიათ, რა სიურპრიზი იყო!

* * *

— **ალო**, პოლიციაა?
— დიახ.
— გევედრებით, გთხოვთ, დამეხმარეთ... გთხოვთ... ჩემი სიდედრი დაიკარგა...
— ყველაფერი გასაგებია. ეცადეთ, რაც შეიძლება დიდხანს არ დაკიდოთ ყურმილი. მიპასუხეთ მხოლოდ „კი“ ან „არა“. პისტოლეტით გემუქრებიან?

* * *

— **ძმაო**, გარეთ ყოფნისას ვინ იყავი? — ეკითხება ტიპი თანასაკნელს.
— სტუდენტი.
— რისთვის ჩაგსვეს?
— კვანტური ფიზიკის ლექციის გაცდენისთვის.
— რას მიჰქარავ, ასეთი რამ შესაძლებელია?
— იმ დღეს ბანკი გავძარცვე.

⊙ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24